პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე.

კომუნისტი

ს. ა. ს. რ
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 14—76.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—13.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—14.000.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 10.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 252 ხუთშაბათი, 1 ნოემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500.000 მან. № 252

დღიური

— გერმანიის ცენტრალური მთავრობა ჯარს აგროვებს ტიურინგიის საზღვრებზე, რომ იქაც გაიმეოროს საქსონიის მაგალითი.

— საქსონიაში შესდგა ახალი მთავრობა მხოლოდ სოციალ-დემოკრატებისაგან.

— გამოირკვა, რომ საქსონიის გადატრიალება წინასწარ მომზადებული ყოფილა სოციალ დემოკრატების მიერ.

— ამხ. ტროცკიმ გამოსცა ბრძანება, რომელიც შეეხება ოქტომბრის ზეიმს.

— პოლონეთში გაფიცვები გრძელდება.

ოქტომბრის დღესასწაულისათვის

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მუშა-ქალებს, მუშებს, მშრომელ-გლეხკაცობას, წითელარმიელთ და ყველა პატიოსან მოქალაქეებს.

ამხანაგებო და მოქალაქენო!

მოახლოვებულია უკვე დიდებული ოქტომბრის პროლეტარული რევოლიუციის მეექვსე წლის თავი. ოქტომბრის რევოლიუციამ 1917 წელს ჩაუყარა საძირკველი საბჭოთა ხელისუფლებას, მუშათა და გლეხთა მთავრობას.

დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა დიდ რუსეთში, მას მოჰყვა ხანგრძლივი ბრძოლა მემამულე-ბურჟუაზიასთან, რომელთაც ჩამოართვეს მიწა-მამული და ფაბრიკა-ქარხანა, და გარედან შემოსეულ იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან. ეს ბრძოლა სასტიკი და ხანგრძლივი იყო, მაგრამ ბოლოს პროლეტარიატმა სძლია ყველა თავის მტრებს, ყველგან, სადაც დროებით გამაგრდნენ საბჭოს ხელისუფლების მტრები, კვლავ აფრიალდა მუშათა და გლეხთა დიქტატურის წითელი დროშა. ასე მოხდა ბელორუსიაში, უკრაინაში, ციმბირში, ჩრდილო და ამიერ-კავკასიაში და ბოლოს 25 თებერვალს 1921 წელს საქართველოშიაც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

1922 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ გარეკა უკანასკნელი კონტრ-რევოლიუციონური ძალები ციმბირის აღმოსავლეთ კუთხეში, ჩიტასა და ვლადივოსტოკში.

ამგვარად, თითქმის მთელი წინანდელი ყოფილი მეფის დროინდელი რუსეთი—დედა-მიწის ერთი მეექვსე ნაწილი—პროლეტარული რევოლიუციის კერა გახდა.

ოქტომბრის რევოლიუციამ ბოლო მოუღო მეფის მთავრობასთან ერთად მის მახლობელ დამქაშებს, მემამულეებს და კაპიტალისტებს.

საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო კერძო საკუთრება, როგორც ქალაქის და სოფლის მშრომელ ხალხის დამონავებისა და დაჩაგვრის წყარო. მიწები და მის სიმდიდრე სიღრმეში დამარხული, რკინის გზები და ფაბრიკა-ქარხნები მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს საერთო საკუთრებათ გამოცხადდა.

საუკუნოებით დაჩაგრულ მშრომელ ხალხს თავის მუშურ-გლეხურ საბჭოების საშვალებით, საშუალება მიეცა წელში გამართულიყო, დასწაფებოდა არამც თუ თავისუფალ შრომას, არამედ მასთან ერთად სწავლას, წარმოების განვითარების საქმეს როგორც ქალაქად, ისე სოფლადაც.

იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის დროს დანგრეული მეურნეობა თან და თან ფეხზე სდგება. აღარ სჩანს ერების შორის შუღლი-მტრობა, ყველა საერთო ძალ-ღონით ეწევა მშვიდობიან შრომისა და აღმშენებლობის უღელს. საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა თვითეულ კუთხეს თავის ენისა და ადგილობრივი პირობების მიხედვით განვითარების საშვალება.

საბჭოთა რესპუბლიკები მჭიდროთ შეკავშირდენ ერთმანეთში.

სამხედრო-სამეურნეო, ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი—აი რა საფუძველზეა აშენებული საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობა.

ასეთია დღეს დიდებული საბჭოთა ქვეყანა. ადგილობრივი შემოქმედებითი ძალების განვითარება, სოფლის და ქალაქების დასაახლოვებლად, მუშებსა და გლეხებს შორის მტკიცე კავშირის დასამკვიდრებლად,—აი ჩვენი დღევანდელი მთავარი მიზანი და მისწრაფება. ჩვენი მეურნეობის აყვავება ჩვენ მოღონიერებას მოასწავებს, ეს მოგვცემს ჩვენ საშვალებას მედგრად და გმირულად შევებრძოლოთ გარედან შემოჭრილ მტრებს, როცა საჭირო იქნება.

ჩვენ ერთის წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ჯერ რევოლიუცია არ გაგვითავებია, რომ ჩვენ ჯერ გარშემორტყმული ვართ შეურიგებელ მტრებით—იმპერიალისტური სახელმწიფოებით.

მართალია, იმპერიალისტები ომს თითქოს გათავებულათ სთვლიან, მაგრამ მშვიდობა ჯერაც არ ღირსებია ქვეყნიერებას, პირიქით ისინი დღითი დღე უფრო ხარჯს ეწევიან შეიარაღების გასაძლიერებლათ, ვინემ ომის წინ. ახალ ომს, უფრო საშინელს და სისხლის მღვრელს ომს უმზადებენ ისინი [illegible] დატანჯულ კაცობრიობას. გამარჯვებულმა ინგლისმა და საფრანგეთმა უკიდურეს უბედურების კარამდე მიიყვანა ომში დამარცხებული, ოდესღაც ძლიერი და მდიდარი გერმანია.

იქ, გერმანიაში, ისე როგორც სხვაგან, მთელ ევროპაში, მუშა ხალხმა გამოიღვიძა, ის მწყობრათ დაირაზმა და უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლას ეწევა შინაურ და გარეშე სისხლისმსმელ იმპერიალისტების წინააღმდეგ.

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში ბრძოლისა და ახალ ცხოვრების შენების ხელმძღვანელი იყო და არის მხოლოდ ერთადერთი თავდადებული და ყოველგვარ ბრძოლაში გამარჯვებული კომუნისტური პარტია...

მხოლოდ მისი ხელმძღვანელობით და შეუპოვარი თავდადებით აღორძინდა საბჭოთა ქვეყნის მიწა-წყალზე მთელი მსოფლიოს პროლეტარების შემაერთებელი მესამე—კომუნისტური ინტერნაციონალი, ანუ, მოკლეთ რომ ვსთქვათ, კომინტერნი. მეორე ინტერნაციონალმა ამსტერდამის პროფკავშირებთან ერთად საერთაშორისო ომის შემდეგ უღალატა მუშათა კლასს და ბურჟუაზიას მიუდგა, მან უარჰყო რევოლიუცია და ბურჟუაზიასთან დაკავშირება დაისახა თავის მისწრაფებათ.

კომინტერნმა მოუწოდა მსოფლიო პროლეტარიატს ერთპირ შეტევისაკენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მეორე ინტერნაციონალი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ჩაშალოს ეს საქმე, მაგრამ კომინტერნის მოწოდება მაინც ჰპოულობს გამოხმაურებას. ყველა ქვეყნებში კომინტერნის მოწოდება თანდათან იკიდებს ფეხს და, მიუხედავათ მეორე ინტერნაციონალის მოღალატე პარტიების ვერაგულ ხრიკებისა, უფრო მეტს და მეტს მომხრეებს იხვეჭს თავის გარშემო.

რას გვავალებს დღეს ჩვენ დღევანდელი მდგომარეობა, საითკენ უნდა იყოს მიპყრობილი ჩვენი გულისყური, ჩვენი საქმიანობა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ერთ წუთსაც არ დავივიწყებთ ჩვენი აღმშენებლობის საკითხებს, ერთ წუთსაც ვერ მოვაშორებთ მას ჩვენ ყურადღებას, მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ შეიძლება გულგრილად ვუყუროთ გერმანიის ამბებს, იმ ბრძოლას, რომელიც ამ ჟამათ იქ იშლება და ვითარდება.

იქ რეაქცია ლამობს ეხლა მოღალატე მენშევიკ ს. დ.-ებთან ერთად თავის შავი რაზმებით, ე. წ. ფაშისტურ ბროების შემწეობით მოსპოს არამც თუ კომუნისტური და სოციალისტური ორგანიზაციები, იქ გათამამებული რეაქცია ლამობს სრულებით მოსპოს და ბოლო მოუღოს სანაქებო დემოკრატიას და პარლამენტარიზმს, რომელიც მუდამ ენაზე აკერია ყოველი ჯურის მენშევიკ სოც. დემოკრატებს.

დღეს ყველა აშკარათ ხედავს ერთი მხრით საბჭოთა ქვეყნების, საბჭოთა რესპუბლიკის თანდათანობითი დაწინაურებას და აყვავებას, ხოლო მეორეთი—ბურჟუაზიული ქვეყნების შინაური და გარეშე საქმეთა არევ-დარევას. ამ გარემოებას ყველა ანგარიშს უწევს, და აი სწორეთ ამის გამო კომუნისტური პარტია დღეს იპყრობს არამც თუ მარტო მუშების და გლეხების ყურადღებას, არამედ წვრილი ბურჟუაზია და საშუალო ბურჟუაზიის ერთი ნაწილიც მხოლოდ კომუნისტურ პარტიას სთვლის იმ ერთად ერთ ძალათ, რომელსაც შეუძლია ქვეყნიერების მშვიდობიან კალაპოტში ჩაყენებას.

ამავე დროს დიდ ოქტომბრის რევოლიუციამ გამოაღვიძა იმპერიალისტების მიერ აღმოსავლეთის დაჩაგრული ერები და დააყენა რევოლიუციის გზაზე.

მაშ, ამხანაგებო, მუშებო, მუშა-ქალებო, გლეხებო, წითელარმიელებო და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა ქვეყნის სხვა პატიოსანო მოქალაქენო,—საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახელით მოგილოცავთ მეექვსე წლის თავს დიდ ოქტომბრის პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვებისას.

გისურვებთ, რომ ჩვენთან, თქვენ-მიერ ამორჩეულ მთავრობასთან ერთად, და ჩვენი სახელოვანი,—თქვენი ღვიძლი შვილ, ამ რევოლიუციის ქარცეცხლში შობილ,—დიდებულ წითელარმიასთან ერთად, საბჭოთა მთავრობის დაარსების მეშვიდე წლის დაწყებისას გააათკეცოთ თქვენი სიფხიზლე და მზათ ყოფილიყოთ ჩვენი მებრძოლი მოძმე გერმანელ და საზოგადოთ ევროპის მუშებსა მშრომელი გლეხკაცობის დასახმარებლათ, ვინაიდან გერმანიასა და დასავლეთ ევროპაში ფაშისტურ რეაქციის გამარჯვება იქნება ჩვენი დამარცხება, ხოლო იქ რევოლიუციის გამარჯვება შეიქნება მთელ დედამიწაზე მომავალი პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება.

გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციას.

ძირს ფაშისტური ბურჟუაზია თავისი ლაქია მოღალატე მენშევიკებით.

გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების განთავისუფლების ექვსი წლის თავს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების ექვსი წლის თავს.

გაუმარჯოს ერების განთავისუფლების ექვსი წლის თავს.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე მ. ცხაკაია

ფაშისტური დიქტატურა და სოციალ-დემოკრატია გერმანიაში

პოლიტიკური ცხოვრების ზედა პირზე გერმანიაში ოთხი უმთავრესი ფაქტი იპყრობს დღეს, 31 ოქტომბერს, საყოველთაო ყურადღებას. ეს არის: მემარცხენე სოც.-დემოკრატების და კომუნისტების კოალიციონური მთავრობის გარეკვა და მემარჯვენე სოც.-დემოკრატიული პოლიტიკის მატარებელი კაბინეტის შედგენა, ბავარიის მთავრობის საიმპერიო მთავრობათ გამოცხადება, შტრეზემანის მთავრობიდან სოციალ-დემოკრატების გაძევება, რაიხსვერის შეტევა წითელ ტიურინგიაზე.

საერთო აზრი ყველა ამ ამბების არის ფაშიზმის გაძლიერება საიმპერიო მასშტაბში.

ის ფაქტი, რომ სოციალ-დემოკრატიას აძევებენ ცენტრალური მთავრობიდან და სტოვებენ საქსონიაში—ვერ შესცვლის შინაარსს ამბებისას. საქსონიის ახალი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა არის გარდამავალი მთავრობა, რომლის შემდეგ იქაც ისევე უნდა გაბატონდნენ ფაშისტები, როგორც ფაქტიურათ ბატონობენ ისინი ცენტრში... თუ, რასაკვირველია, კომპარტიის უკანასკნელი მოწოდება საყოველთაო გაფიცვის და შეიარაღებული აჯანყებისათვის მუშათა გაერთიანებული ძალებით არ იქონიებს რეალურ შედეგებს.

შტრეზემანის მეორე კოალიციური მთავრობის შესახებ ჩვენ ვამბობდით, რომ ის არის გარდამავალი ხასიათის. ფორმალურათ, გარეგნულათ არა ფაშისტური კაბინეტი შტრეზემანის შედეგი იყო რეაქციის სხვადასხვა ფრაქციების მაშინ კიდევ შეუთანხმებლობის და მათ შორის ბრძოლის. ჩვენ ვსწერდით, რომ მეორე კოალიცია იარსებებს მანამდი, სანამ ერთ-ერთი ორ მებრძოლ უკიდურეს ძალთა შორის: 1) ძალა პროლეტარიატის და 2) რეაქციის, იმდენათ არ გამაგრდება, რომ შესაძლებელი შეიქნება დამხობა შტრეზემანის კოალიციონური მთავრობის. ეს დამხობა დღეს ხდება ჯერ-ჯერობით რეაქციის სასარგებლოთ, თუ გამართლდა უკანასკნელ წუთებში მიღებული ცნობა კოალიციის დარღვევის შესახებ. რეაქციის ამ დიდ გამარჯვებას (ვიმედოვნებთ, წარმავალს) ხელი შეუწყო, როგორც ყოველთვის, გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ და არა მარტო მისმა მემარჯვენე, არამედ მემარცხენე ფრთამაც. რადგან იმდროს, როდესაც ხდებოდა მობილიზაცია მემარჯვენეთა ძალების და მათი შეთანხმება, ამ დროს მუშათა კრებებზე და კონფერენციებზე კომუნისტური პარტია იძულებული იყო მხოლოდ იმაში გაეტარებია დრო, რომ ხმამაღლა ჩასძახოდა „გამობეყვილ“ ყურებში სოციალ-დემოკრატიას: საჭიროა ერთიანი ფრონტი რეაქციის დარაზმული ძალების წინააღმდეგ. და მაშინ, როდესაც „დემოკრატიის“ კრეტინები ლეგალური, კონსტიტუციური ადათების მომიზეზებით ვერ ბედავდნენ გადამჭრელი ნაბიჯის გადადგმას კომუნისტ მუშებთან ერთად—რეაქციამ დააფურთხა როგორც „დემოკრატიას“, ისე „კონსტიტუციისა“ და „პარლამენტარიზმს“, შეაგროვა ძალები, დაამხო საქსონიის მთავრობა, გამორეკა „დემოკრატები“ შტრეზემანის მთავრობიდან და ამნაირათ აკეთებს თავის შავ საქმეს.

ერთხელ კიდევ (და რომელჯერ?) „დემოკრატიამ“ და მისმა თუთიყუშებმა, სოციალ-დემოკრატებმა, შეასრულეს მავრის როლი. ჩვენ ვამბობდით და ვიმეორებთ, ვატყვით და დავსწერთ: სანამ არსებობს სოციალ-დემოკრატია ცოტათ თუ ბევრათ გავლენიანი მუშათა მასებში, რევოლიუცია პროლეტარიატის ვერ გაიმარჯვებს. ან ერთი ან მეორე. მესამე გამოსავალი არ არის და რამდენადაც მალე შეიგნებენ ამას სოციალ-დემოკრატიის მიმდევარი მუშები გერმანიაში და საერთოთ ყველგან, იმდენათ წინ წაიწევს პროლეტარიატის გამანთავისუფლებელი ბრძოლა, იმდენათ მალე გაიმარჯვებს მუშათა რევოლიუცია.

საბჭოთა ხელახალი არჩევნებისათვის

დღეიდან იწყება ჩვენში საბჭოთა ხელახალი არჩევნები, რის შემდეგ შეიკრიბება სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა.

ჩვენი მშრომელი ხალხის წინაშე კვლავ დგება საკითხი, თუ ვის მიანდოს თავისი ცხოვრების მოწესრიგება-გაუმჯობესების და საბჭოთა რესპუბლიკის დაცვა-განმტკიცების საქმე.

კომუნისტურ პარტიას, რომელიც ეს მესამე წელიწადია, რაც სათავეში უდგას ძალა-უფლებას საქართველოში, თამამად შეუძლია წარსდგეს ამომრჩევლების პირუთვნელი სამსჯავროს წინაშე.

მენშევიკებმა, რომელთაც, პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ რუსეთში, აქ დროებით მოიკიდეს ფეხი, ჩვენი ხალხი, საქართველოს ფიქტიური დამოუკიდებლობის ნიღაბ ქვეშ, ჩამოგლიჯეს რევოლიუციას და ხელში ჩაუგდეს დასავლეთის იმპერიალიზმს, ამავე დროს საქართველო გადააქციეს მსოფლიო რეაქციის დასაყრდნობ პუნქტად რევოლიუციონურ რუსეთის წინააღმდეგ.

ქართველი ხალხის (ისე, როგორც ყოველი ხალხის) სოციალური და ნაციონალური განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ რევოლიუციის გზით, კაპიტალის და მისი ღვიძლი შვილის—იმპერიალიზმის დამსხვრევით, და კომუნისტურმა პარტიამ, ამ სამი წლის წინედ, თვით მშრომელი მასის აქტიური დახმარებით, ერთხელ და სამუდამოდ დაუკავშირა ჩვენი ქვეყანა და მისი მომავალი რევოლიუციას. ამით იხსნა ის [illegible]საგან, გადაუშალა მას პროგრესის ფართე პერსპექტივები და შესაძლებლობანი.

ესაა ჩვენი პარტიის უდიდესი ისტორიული დამსახურება, რომლის მიჩქმალვას და უარყოფას ვერავინ ვერ შესძლებს.

მაგრამ ჩვენი ხალხის ბედი სამი წლის წინედ მომხდარ აქტით მაინც არ გადაწყვეტილა საბოლოოდ. ბრძოლა ძველსა და ახალ სამყაროს შორის, რომელიც ჩვენში უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა, ისევ გრძელდება საერთაშორისო მასშტაბით. ჩვენ თანდათან უახლოვდებით მსოფლიო რევოლიუციას. ამის მაჩვენებელია, პირველ ყოვლისა, გერმანიის დღევანდელი ამბები.

ქართველი მშრომელი მასის მთელი თანაგრძნობა გერმანიის მუშათა კლასისაკენაა, ის დგას რევოლიუციის დამცველთა რიგებში.

ამას ის ერთხელ კიდევ დაამტკიცებს მომავალ საბჭოთა არჩევნებშიაც, როცა ხმას მისცემს კომუნისტურ პარტიას, რომელიც ერთად-ერთი მედროშეა რევოლიუციის როგორც ჩვენში, ისე მთელ მსოფლიოში.

სამი წლის განმავლობაში ჩვენი მშრომელი მასა შეესისხლხორცა საბჭოთა ხელისუფლებას.

წინედ, მენშევიკების „დემოკრატიული“ რეჟიმის დროს, ხდებოდა ხალხის „ნებაყოფის“ უდიდესი ფალსიფიკაცია. მისი სახელით ქვეყანას განაგებდნენ მისივე მტრები. „დემოკრატიული“ რეჟიმი სრულ ბატონობას ანიჭებდა შეძლებულ კლასებს, მშრომელი მასა კი ჩამოცილებული იყო მართვა-გამგეობიდან. იგი დარწმუნდა ამ „დემოკრატიზმის“ სიკოტრესა და სიყალბეში.

დემოკრატიზმი და პარლამენტარიზმი გაკოტრდა ყველგან. იგი უარყო ბურჟუაზიამაც, რომელიც ფაშიზმში ხედავს თავის ხსნას.

ამის წინააღმდეგ მუშათა კლასი აყენებს თავის დიქტატურას.

ჩვენში ეს დიქტატურა დამყარებულია. ჩვენში მშრომელი ხალხი თვითონაა ქვეყნის ნამდვილი ბატონპატრონი, მთელი ძალა-უფლების მატარებელი. ხალხმა საბოლოოდ შეიგნო, რომ საბჭოთა სისტემა, საბჭოთა ხელისუფლება—ესაა მმართველობის ის ფორმა, რომელიც სავსებით და ფაქტიურად გამოხატავს მის სუვერენობას და საშუალებას აძლევს მას კლასიური მტრების მოსპობისა და ცხოვრების ძირითადი გარდაქმნისათვის.

ამიტომაც ის მთელი თავისი ძალ-ღონით ებღაუჭება საბჭოთა ხელისუფლებას.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალ არჩევნებში მშრომელი მასა კვლავ მისცემს ხმას კომუნისტურ პარტიას, რომელიც მხოლოდ ერთად ერთია საბჭოების ძალა-უფლების ნამდვილი დამცველი და ფხიზელი დარაჯი.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენში ცხოვრების ყოველ დარგში მოხდა უღრმესი ცვლილებები.

ჩატარებულ იქნა უდიდესი აგრარული რევოლიუცია. მიწა ჩამოერთვა მემამულეებს და მუქთახორებს და გადაეცა მშრომელ გლეხობას.

მნიშვნელოვანი მუშაობაა შესრულებული სასოფლო მეურნეობის ასაღორძინებლად არხების გაყვანით, ჭაობების ამოშრობით, მდინარეთა ნაპირების გამაგრებით, გლეხობისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების და სათესლე მასალის მიწოდებით და სხ.

საფუძველი ჩაეყარა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას.

აღორძინების გზაზეა შემდგარი ქალაქების წარმოება და სხვა.

მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულია. ამ მხრივ შედარებაც შეუძლებელია მენშევიკების ხანასთან.

სათანადო ყურადღება ექცევა ხალხის სწავლა-განათლებას და პოლიტიკურ-კულტურულ გათვითცნობიერებას.

დამყარებულია სრული ნაციონალური მშვიდობიანობა როგორც საქართველოში, ისე მთელ ამიერკავკასიაში. კვალიც არ დარჩენილა იმ დაუსრულებელი ომებიდან, რომლებსაც აქ წინედ ჰქონდათ ადგილი. ხალხები, რომელნიც ნაციონალისტური მთავრობების დროს ერთმანეთზე ქილებს ილესავდენ, დღეს ძმურად თანამშრომლობენ, გაერთიანებულნი ფედერაციაში.

ჩვენ აქ არ შეუდგებით ყველაფერის ჩამოთვლას, თუ რა გაკეთდა, თუ რა აღმშენებლობითი მუშაობა იყო წარმოებული საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ეს ისედაც ცხადია მშრომელებისათვის.

რა თქმა უნდა, ბევრი რამ კიდევ გაუკეთებელი და მოუწყობელი დარჩა, აწი უფრო მეტი გვაქვს სამუშაო. იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით დანგრეული მეურნეობის, ჩვენი საერთო ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის და კაპიტალისტური გარშემორტყმის პირობებში მეტის გაკეთება შეუძლებელიც იყო.

ახალმა საბჭოებმა უნდა განაგრძონ დაწყებული მუშაობა ქვეყნის ასაღორძინებლად და ხალხის კეთილდღეობის ასაწევად.

და ვის შეუძლია ეს, ვის შეუძლია დღევანდელი გართულებული ცხოვრების მიერ წამოყენებულ ამოცანების გადაჭრა? პასუხი ერთად ერთი შეიძლება იყოს—კომუნისტურ პარტიას მთელი მშრომელი ხალხის აქტიური დახმარებით.

ამას ვამბობთ არა მარტო ჩვენ. ამავე აზრს დაადგენ ყოფილი მენშევიკები, რომელნიც გამოაფხიზლა მენშევიკების მოღალატეობამ და კომუნისტური პარტიის თავდადებულმა აღმშენებლობითი მუშაობამ, მათ დაშალეს თავისი პარტია და დღეს თანამშრომლობენ საბჭოთა ხელისუფლებასთან.

აგრეთვე დაიშალენ სხვა ანტისაბჭოთა პარტიები.

ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია რევოლიუციის მონაპოვართა დაცვა, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება, ქვეყნის სამეურნეო აღორძინება და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება—ესაა კომუნისტური პარტია.

და ეჭვი არ არის, რომ მომავალ საბჭოთა არჩევნებშიაც, როგორც წინედ, ხალხი თავის ნდობას გამოუცხადებს ჩვენი პარტიის კანდიდატებს. ამასთან საბჭოებში არჩეულ იქნებიან პატიოსანი უპარტიონიც.

მხოლოდ დიდი სიფრთხილის გამოჩენა მართებთ ამომრჩევლებს, რომ საბჭოებში უპარტიოების სახით არ გაძვრენ ხალხის ფარული მტერნი, ანტისაბჭოთა ელემენტები.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა“-ს ცნობები).

გადატრიალების შემდეგ: გამოირკვა, რომ გადატრიალება წინასწარ ჰქონდათ გათვალისწინებული სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც სათანადო მუშაობას კიდეც აწარმოებდნენ.

საქსონიის ახალი მთავრობა შესდგება მხოლოდ სოციალ-დემოკრატებისაგან.

სოციალ-გამყიდველების ბანაკში: გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია დღითი-დღე იხრება მარჯვნივ.

ყვითელმა პროფკავშირმა უარი განაცხადა გაფიცვის დაწყებაზე საქსონიაში მომხდარ ამბების საპროტესტოთ.

შავ ბანაკში: მთავრობა ჯარს აგროვებს ტიურინგიის საზღვრებზე, რომ იქაც გაიმეოროს საქსონიის მაგალითი.

ბავარიის ფაშისტური რაზმები დაბანაკდენ ტიურინგიის საზღვრებზე, მათ განკარგულებაში იმყოფება ჰაეროპლანები და ზარბაზნები.

გადატრიალების შემდეგ

მუშების გამარჯვება ზემო სილეზიაში.

ბერლინი. 29 ოქტომბერი. გაფიცვა ზემო სილეზიის გერმანულ ნაწილში მუშების გამარჯვებით დამთავრდა.

ფრანკფურტის გაფიცვა შეწყდა.

ბერლინი. 29 ოქტომბერი. ფრანკფურტში შეწყდა საერთო გაფიცვა.

„სიწყნარეა“

ბერლინი. 29 ოქტომბერი. ჰამბურგში სიწყნარეა. დატუსაღება გრძელდება.

პროფმოძრაობის მეთაურების დატუსაღება.

ბერლინი. 29 ოქტომბერი. ბავარიაში გრძელდება პროფმოძრაობის მეთაურების დატუსაღება.

ოფიციალურ ფასზე ნაკლებ.

ბერლინი. 29 ოქტომბერი. ბერლინის ბანკები ახალ კუპიურებს იღებენ ოფიციალურზე ნაკლებ ფასებში.

დაშლის წინ.

დრეზდენი. 31 ოქტომბერი. საქსონიის მთავრობის გადაყენებამ შექმნა საიმპერიო დიდი კოალიციის დაშლის საფრთხე. ოფიციალურათ უარჰყოფენ ხმებს 3 სოციალ-დემოკრატ მინისტრის გადადგომის შესახებ. რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ჯერ კიდევ არ შეკრებილა.

შუამავლობა საქსონიის საკითხის გამო იკისრეს რეიხსტაგის დეპუტატმა—დემოკრატმა ფიშერმა და სოციალ-დემოკრატებმა ველსმა და დიტმანმა, რომლებიც გაემგზავრენ დრეზდენში საქსონიის ახალი მთავრობის შედგენის დაჩქარების მიზნით.

საიმპერიო მინისტრების პროტესტი საქსონიის მთავრობის გარეკვის წინააღმდეგ.

ბერლინი. 29 ოქტომბერი. „ფორვერტს“-ის ცნობით, სოციალ-დემოკრატი—მინისტრები გამოვიდენ კაბინეტის სხდომაზე პროტესტით საქსონიის მთავრობის გარეკვის წინააღმდეგ. გაზეთები კატეგორიულათ ამტკიცებენ, რომ ებერტს არ დაუვალებია შტრეზემანისათვის საქსონიის წინააღმდეგ გამოსვლა.

სამოქალაქო ომი აუცილებელია.

ბერლინი. 29 ოქტომბ. „როსტა“-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთმა ხელმძღვანელთაგანმა როზენფელდმა აღნიშნა, რომ მემარცხენე სოციალ-დემოკრატები წარმოადგენენ დიდი კოალიციის მტრებს, რადგანაც მთავრობა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ მძიმე ინდუსტრიის წარმომადგენლები პროლეტარიატის წარმომადგენლებთან ერთად, ატარებს შიგნით წინააღმდეგობას და უძლურია მოქმედებისათვის.

როზენფელდს შეუძლებლათ მიაჩნია მუშათა მთავრობის შექმნა გერმანიაში და კიდეც ილაშქრებს მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ, რადგანაც გერმანიის გლეხობა წარმოადგენს რეაქციონურ ძალას. როზენფელდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამოქალაქო ომი აუცილებელია და რომ გერმანიის პროლეტარიატის უმრავლესობამ შეიგნო ამ აუცილებლობის აზრი.

კომუნისტების მოლაპარაკება სოციალ-დემოკრატებთან.

ბერლინი. 29 ოქტომბერი. დრეზდენში გრძელდება მოლაპარაკება კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. კომპარტიამ მიმართა ადგილობრივ ორგანიზაციებს მოწოდებით შესწყვიტონ ადგილობრივი გაფიცვები. მუშაობის განახლების შემდეგ მწარმოებლები უარს ამბობენ იმ მუშების სამსახურში მიღებაზე, რომლებიც ითვლებიან კომპარტიის წევრებათ.

კომპარტიის დაჟინებითი მოთხოვნილება.

ბერლინი. 29 ოქტომბერი. ორშაბათს კომპარტიამ მოითხოვა სოციალ-დემოკრატებისა და პროფკავშირებისაგან დაუყოვნებლივი და ენერგიული პროტესტით გამოვიდენ საქსონიის საკითხში და პასუხის ვადათ დანიშნა 24 საათი.

სოციალ-გამყიდველების ბანაკში

ყვითელ პროფკავშირების პასიურობა.

ბერლინი. 29 ოქტ. პროვინციიდან ჩამოსულ მრავალრიცხოვან დელეგატების მოთხოვნაზე საყოველთაო გაფიცვების გამოცხადების შესახებ, სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარემ ლეიპარტმა განაცხადა, **რომ პროფკავშირებს არ აქვთ მინიჭებული უფლება გამოიტანონ პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებანი.**

ყველაფერი წინასწარ იყო მოფიქრებული

ბერლინი. 29 ოქტომ. ირკვევა, რომ საქსონიის ლანდტაგის მემარჯვენე პოლიტიკის მომხრე სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას პარტიის მემარჯვენე ფრთის ზეგავლენით ჯერ კიდევ შტრეზემანის ულტიმატუმამდე განზრახული ჰქონდა მინისტრ-კომუნისტებისათვის დაეყენებია კითხვა: **ეთანხმებიან თუ არა ისინი საქსონიის კომპარტიის მოწოდებას საყოველთაო გაფიცვების გამოცხადების და პროლეტარულ რაზმების შედგენის შესახებ.** იმ შემთხვევაში, თუ დადებით პასუხს მიიღებდენ, **მემარჯვენეებს განზრახული ჰქონდათ სამთავრობო კრიზისის შექმნა.**

ამავე დროს ბერლინში ჰესლერმა განაცხადა კაბინეტის შაბათის სხდომაზე, რომ ის **ცენტრალურ საიმპერიო მთავრობის სანქციის გარეშე** წარუდგენს ცეიგნერს მოთხოვნილებას გადადგომის შესახებ. სხვა მინისტრები მოითხოვდნენ კომუნისტების საქსონიის მთავრობის შემადგენლობიდან გამორიცხვას. ბოლოს მიღებულ იქნა საკომპრომისო წინადადება და საქსონიის მთავრობას მიეცა ერთი დღის ვადა პასუხის გასაცემად.

შტრეზემანი თავის თავს უფრთხილდება.

ბერლინი. 29 ოქტომბერი. სოც.-დემოკრატიულ პარტიის ცეკას პრო-

პოლონეთის პროლეტარიატის ხმა

პოლონეთის მუშათა კლასი ახმაურდა; პანების ბატონობამ ეკონომიურ-ფინანსიურ კატასტროფის წინაშე დააყენა ქვეყანა და, როგორც ყოველთვის, გაჭირვების მთავარი სიმძიმე მუშათა კლასს დაატყდა თავზე. ეს უკანასკნელიც, მოთმინებიდან გამოსული, იწყებს გაფიცვებს ლოძის რაიონში, დომბროვოში, კრაკოვში, ჩენსტოხოვში და სხვა ადგილებში. გაფიცვა საერთო კლასიურ ხასიათს ღებულობს, გადადის რკინისგზის მთელ ხაზზე, იწვევს რკინისგზო მიმოსვლის შეჩერებას.

შეშფოთებული პანების მთავრობა აცხადებს რკინისგზების მილიტარიზაციას, იწვევს მოსამსახურეებს მობილიზაციით, რომ ნაწილობრივ მაინც შესძლოს მოძრაობის აღდგენა. მაგრამ ის კიდევ უფრო შორს მიდის და, უკანასკნელი ცნობებით, იმ ადგილებში, სადაც გაფიცვებია გამოცხადებული, ის აპირებს საალყო წესების გამოცხადებას, რაც ფაქტიურად თითქმის მთელი პოლონეთის სამხედრო ბანაკად გადაქცევას ნიშნავს. პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრს განსაკუთრებული უფლებები ეძლევა „წესიერების“ დასაცავად, ბურჟუაზიული მშვიდობიანობის აღსადგენათ. ცხადია, რომ მდგომარეობა ძალზე გართულებულია, როგორც არ უნდა გათავდეს საქმე, პოლონეთის პროლეტარიატის უკანასკნელი გამოსვლები პანების უპასუხისმგებლო თარეშს, ადრე თუ გვიან, საზღვარს დაუდებენ, მათი ბატონობის აღსასრულს მოაახლოვებენ.

პოლონეთის ბურჟუაზია მუდამ გარეთ იყურება, სცდილობს წაჰგლიჯოს რამე თავის მოსაზღვრეებს, ან აღმოსავლეთით—საბჭოთა რესპუბლიკებს, ან დასავლეთით—გერმანიას. მას ამ საქმეში აუცილებლად ხელს შეუშლის თავის ქვეყნის მუშათა კლასის გამოსვლები, რომელიც შეანელებს პანების მტაცებლურ პოლიტიკას და საგარეო ავანტიურისაკენ მისწრაფებას. კიდეც რომ სავსებით დამარცხდეს პოლონეთის მუშათა კლასის ეხლანდელი გაფიცვები, ამ მხრივ მათ მაინც აქვთ უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც საკმაოდ სცვლის საერთაშორისო ასპარეზზე მომქმედ ძალთა განწყობილებას პროლეტარიატის სასარგებლოდ. პოლონეთის მშრომელი მასები საერთაშორისო პროლეტარიატის საიმედო მოკავშირეთ ხდებიან, რაც მხედველობაში მისაღები და ანგარიშ გასაწევია მეტად გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობის დროს.

ამ გამოსვლებში აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. პოლონეთის სოციალისტური პარტია, რომელიც ფაქტიურად ადგილობრივ მენშევიკურ პარტიათ ჩაითვლება, კარგავს ძალა-გავლენას მუშათა კლასში და მის ხარჯზე იზრდება კომუნისტური პარტიის ძლიერება. ეს უკვე უდავო ფაქტია, რომელსაც აღიარებენ და ანგარიშს უწევენ თვით პოლონეთის სოციალ-შეთანხმებლების ბელადები და რომ საბოლოოდ არ ჩამოსცილდენ, გარიყული არ დარჩენ მუშათა კლასისაგან, ცდილობენ უკან გაყვენ, შორიახლო მაინც მისდიონ მოთმინებიდან გამოსულ აღელვებულ მუშათა კლასის მოძრაობას. მათი გაბედულება დაბოლოს იქამდეც კი მივიდა, რომ გუშინდელი დეპეშის თანახმად ისინი თხოულობენ პანების მთავრობის გადადგომასაც კი.

რასაკვირველია, პოლონეთის სოციალისტური პარტია არ უღალატებს თავის მენშევიკურ ბუნებას, ყოველ ფეხის გადადგმაზე გასცემს, ათჯერ და ასჯერ გაჰყიდის პოლონეთის მშრომელთა ინტერესებს, მაგრამ ეს ხომ ძველი ამბავია და საქმის მდგომარეობას ვერ სცვლის. გამოფხიზლებული, ნაციონალისტურ-შოვინისტური ზეგავლენისაგან განთავისუფლებული პოლონეთის მუშათა კლასი მსოფლიო პროლეტარიატის მაინც საიმედო მოკავშირეთ დარჩება. პუანკარე და მთელი ანტანტის ბურჟუაზია კი ვეღარ შესძლებენ თავისი „ნასუფრალით“, სუბსიდიებით და სესხით პოლონეთის მშრომელთა გამოყენებას რეაქციის შავბნელი საქმეებისთვის. მოსალოდნელ საერთაშორისო ქარცეცხლის დროს პოლონეთის მშრომელი მასები არ იკისრებენ კონტრ-რევოლიუციისა და ფაშიზმის დავალებების შესრულებას. პირიქით, ფაშიზმი და რეაქცია აქტიურ მოწინააღმდეგეებს უნდა ხედავდეს პოლონეთის მუშათა კლასში ამიერიდან მაინც. პოლონეთის ბურჟუაზიის პარიზის ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებთან შეთანხმებულმა თარეშმა და ბატონობამ დაარწმუნა პოლონეთის მუშათა კლასი, რომ მხოლოდ გაბედულ დაუნდობელ კლასობრივ ბრძოლას შეუძლია მისი ხსნა ყოველგვარ გაჭირვებისა და ჩაგვრა-მონობისაგან. პოლონეთის მუშათა კლასი ახმაურდა, ალაპარაკდა თავისი კლასობრივი ენით; საერთაშორისო ბურჟუაზია იძულებული გახდება ანგარიში გაუწიოს მის ხმას.

ი. ბ.

წერილები ბერლინიდან

„როტე ფანე“

ორი კვირით შეჩერების შემდეგ კომუნისტური ორგანო „როტე ფანე“ კვლავ გამოდის (გამოდის ორჯერ დღეში). გამოვიდა ოთხი ნომერი, მაგრამ ბ. ჰესლერმა, მინისტრმა-დიქტატორმა კვლავ საჭიროდ დაინახა მისი დახურვა, ახლა კი „ახალ განკარგულებამდი“.

განზრახული აქვთ ალბათ გაზეთის ერთი ან ორი თვით დახურვა. ჰესლერის განკარგულება ვრცელდება ყველა გაზეთებზე, რომლებიც შეიძლება გამოვიდნენ ბერლინში და მის მიდამოებში „როტე ფანე“-ს ნაცვლად.

„როტე ფანეს“ ხელისმომწერთა რიცხვი უკანასკნელ თვეებში ძლიერ გაიზარდა. ნათელია, რომ გაზეთის დახურვით სურთ ხელი შეუშალონ მის გავრცელებას, მის კონტაქტს ფართე მასებთან. მთელი გერმანია გავსებულია ფაშისტური და ნაციონალისტური გაზეთებით. საალყო წესებმა მოსპო, გაანადგურა ერთად ერთი დამოუკიდებელი მუშური პრესა, პრესა კომუნისტური. მიუნხენში ფონ-კარმა სრულიად აკრძალა კომუნისტური პრესა. ბერლინში ბ. ჰესლერმა და საქსონიაში გენ. მიულერმა აკრძალა ის „ახალ განკარგულებამდი“.

კომუნისტური პრესის დევნით არ კმაყოფილდება მთავრობა, დაიწყო კომუნისტების მასიური დაპატიმრება. დაატუსაღეს, მაგალითად, კომუნისტური პარტიის სექციის ბელადები სილეზიაში და „სილეზიის მუშური გაზეთის“ რედაქციის მთელი შემადგენლობა.

ოფიციალური „ფოსსოვა გაზეტა“ გულუბრყვილოდ აცხადებს, რომ ამ რეპრესიებს მიზნათ აქვს ბოლო მოუღოს „კომუნისტურ პროპაგანდას მუშურ-გლეხური მთავრობის სასარგებლოთ“. კომუნისტურ პრესას აღრჩობენ, კონტრ-რევოლიუციონური, ფაშისტური პროპაგანდა კი თავისუფლად ვითარდება, ხელის შემშლელი მას არავინ ჰყავს.

გავიხსენოთ რუსეთის რევოლიუცია. სამი თვით ადრე ოქტომბრის რევოლიუციამდი „მჭერმეტყველმა“ კერენსკიმ დახურა „პრავდა“, ის სდევნიდა ლენინს და ზინოვიევს, სავინკოვი და დენიკინი კი აშკარათ აკეთებდენ შავ საქმეებს.

ბატონმა შტრეზემანმა უნდა წაიკითხოს რუსეთის რევოლიუციის ისტორია. ის, ადვილად შესაძლოა, განმეორდეს გერმანიაში.

⁂

46, 844, 781, 444, 537, 908

30 სექტემბერს გერმანიის შინაური ვალი უდრიდა 46 ტრილიონ მარკას, უფრო სწორად ის იმ რიცხვს, რომელიც ჩვენ ზემოთ ამოვწერეთ, მაგრამ მაშინ დოლარი ღირდა 100 მილიონიდან 200 მილიონ მარკამდი, დღეს კი, 12 ოქტომბერს, ის ღირს ხუთი მილიარდი.

30 სექტემბრისათვის ბერლინში ითვლებოდა სულ 160.000 უმუშევარი.

ჰ. ალბერტი

ბერლინი, 12 ოქტომბერი.

3/94

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „კომუნისტი“-ს კანტორისაგან

რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული.

კანტორა ამით აცნობებს ყველა ხელის მომწერლებს, რომ ნოემბერში გაზ. „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

თვიური ხელის მოწერა ტფილისში	
შინ მიტანით . . .	13.000.000 მან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის	14.000.000 მან.
კოლექ. ხელის მოწ. მხოლოდ მუშებ.	10.000.000 მან.
ჟურნალ „ნიანგი“-ს ფასები:	
თვიური ხელის მოწერა ყველასათვის	2.000.000 მან.
ერთი ეგზემპლიარი . . .	1.000.000 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს ხვედრი ფული თავის დროზე შემოიტანონ, ვინაიდან **გაზეთი ნისიათ არავის გაეგზავნება.**

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი, წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს, რომ 2 ნოემბერს,

ერთიან პარტიულ დღეს

უჯრედების ღია კრებებზე წითელ არმიელთა ნაწილების თანდასწრებით დასმულ იქნეს დღის წესრიგში საკითხი

ოქტომბრის რევოლიუციის მე-6-ე წლის თავის შესახებ.

მასალებათ გამოყენებული იქნეს რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის თეზისები.

ტფ. კომიტეტის მდივანი: **რუბენი.**

ტისტზე საქსონიისადმი აგრესიულ პოლიტიკის წინააღმდეგ, შტრეზემანმა უპასუხა, რომ თუ მთავრობამ არ მიიღო ზომები საქსონიის წინააღმდეგ, მას შესცვლის უფრო მემარჯვენე მთავრობაო.

მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების წინამძღოლები ებერტი, ველსი და მიულერი ჩაფიქრებული არიან მემარცხენე ფრთის გავლენის გაძლიერებით ბერლინსა და პროვინციაში. მემარცხენე სოციალ-დემოკრატები ილაშქრებენ კოალიციონურ მთავრობის და საქსონიის საკითხში შტრეზემანის პოლიტიკის წინააღმდეგ და მოითხოვენ ბავარიის წინააღმდეგ გაბედულ გამოსვლას. ცენტრი კრისპინის მეთაურობით აგრეთვე ოპოზიციაში იმყოფება.

მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები, როგორც სჩანს, დარჩებიან მთავრობაში იმ შემთხვევაშიაც კი, თუ საჭირო იქნება ცენტრთან და მემარცხენეებთან კავშირის გაწყვეტა.

სოციალ-დემოკრატიისათვის ორი გამოსავალია: ან სამთავრობო კრიზისი და ძალაუფლების მემარჯვენეთა ხელში გადასვლა, ან პარტიის განხეთქილება.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცეკა იწვევს რეიხსტაგის ფრაქციას საქსონიის საკითხში გადაწყვეტილების გამოსატანად. პარტიის წევრებისადმი მიმართულ მოწოდებაში სოციალ დემოკრატიულ პარტიის ცეკა მოუწოდებს მათ სიმშვიდის დაცვისაკენ და ხაზს უსვამს ერთსულოვან გადაწყვეტილებათა გამოტანის საჭიროებას, რადგან მუშათა მოძრაობას საფრთხე მოელის.

„ფორვერტს“-ის რედაქციის რეორგანიზაცია.

ბერლინი. 29 ოქტომბერი. „ფორვერტს“-ის რედაქციაში რეორგანიზაცია მოხდა. საღამოს გამოცემის სარედაქციო კოლეგია შესდგება მემარცხენე სოციალ-დემოკრატებისაგან, დილის გამოცემის კი მემარჯვენეებისაგან.

სოციალ-დემოკრატები დაუშვენ მარჯვნით.

დრეზდენი. 30 ოქტომბერი. შესდგა ლანდტაგის მოკლე სხდომა, რომელიც გადადებული იყო გუშინდლამდე. ლანდტაგის დეპუტატები—სოციალ-დემოკრატები აწარმოებენ მოლაპარაკებას ბერლინიდან ჩამოსრულ ველსთან და დიტმართან. შესაძლებელია მთავრობის შედგენა სოციალ-დემოკრატებისაგან, რომელიც დაყრდნობილი იქნება დემოკრატების და სახალხო პარტიის დახმარებაზე.

ბერლინის ოფიციალური ცნობა აღნიშნავს, რომ საქსონიის მინისტრების გადაყენების გამო, საქსონიის ლანდტაგის სხდომების აკრძალვას უკვე აღარ აქვს ძალა.

გაფიცვები პროტესტის ნიშნათ

სამი დღის საპროტესტო გაფიცვა საქსონიაში.

დრეზდენი. 30 ოქტ. კომპარტიამ, სოციალ-დემოკრატებმა და პროფკავშირებმა მოუწოდეს საქსონიის მუშებს სამი დღის საპროტესტო გაფიცვისაკენ, რადგანაც სურსათის მიწოდება არ ვრცელდება რკინის გზებზე და ფოსტაზე. გაფიცვა უკვე დაიწყო. გაფიცულია ყველა წარმოებები. ტრამვაი კიდევ მუშაობს. გაფიცვა გავრცელდა ხემნიცში, ცვიკაუში და საქსონიის ნახშირის ყველა რაიონებში.

აკრძალვამ არ იმოქმედა.

დრეზდენი. 30 ოქტ. საქსონიის კომპარტიის, სოციალ-დემოკრატების და პროფკავშირების წარმომადგენელთა გაერთიანებულ სხდომაზე, რომელზედაც გადაწყვეტილ იქნა საპროტესტო გაფიცვის გამოცხადება, მონაწილეობას ღებულობდნენ აგრეთვე ყოფილი მინისტრები—კომუნისტები ბეტხერი და ჰეკერტი. ბერლინის ოლქის სამხედრო სარდლობამ აკრძალა ამ სხდომაზე შემუშავებული მოწოდების გამოქვეყნება.

საქსონიის ახალი მთავრობა

მასები უკმაყოფილონი არიან წინამძღოლების პოლიტიკით.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. საქსონიასა და ბავარიაში მომხდარი ამბები დიდ აღშფოთებას იწვევენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ფართო წრეებში. ესდეკების პარტიის ცეკა იხილავს საკითხს იმის შესახებ, დარჩენ თუ არა კაბინეტში მინისტრი—სოციალ-დემოკრატები.

საქსონიის ახალი კაბინეტი.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. სამშაბათს შედგენილი იქნა საქსონიის ახალი კაბინეტი სოციალ-დემოკრატ ფრელიხის მეთაურობით. კაბინეტი შესდგება მხოლოდ და მხოლოდ სოციალ დემოკრატებისაგან. ლანდტაგში მას მხარს დაუჭერენ დემოკრატები, სახალხო პარტია ნეიტრალური დარჩება. დღეს, ოთხშაბათს, ფრელიხი წარუდგენს ლანდტაგს კაბინეტის სიას.

ფაშისტების მზადება

ბავარიის ფაშისტები ტიურინგიის საზღვარზე.

ლონდონი. 31 ოქტომბერი. **„დეილი მეილ“-ის ბერლინის კორესპონდენტი იტყობინება, რომ ბერლინში მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ ბავარიის რეგულიარული რეიხსვერი და ბავარიის ფაშისტური რაზმები იმყოფებიან ტიურინგიის საზღვარზე. ამ ნაწილების განკარგულებაში არის არტილერია და აეროპლანები.**

შავი ძალები თავს იყრიან.

პარიზი. 31 ოქტომბერი. **ბავარიაში მოხდა მემარჯვენე ორგანიზაციების მობილიზაცია. ისინი შეადგენენ ბავარიის პოლიციის ზურგს, და ასწევენ აგრეთვე საყარაულო სამსახურს ბავარიის საზღვარზე. მობილიზაციის წესით მოწვეულ ნაწილების შტაბბინა იქნება ბამბერგში.**

კომუნისტების დატუსაღება ბავარიაში.

პარიზი. 31 ოქტომბერი. **ბავარიაში კარის ბრძანების თანახმად დაიწყო კომუნისტების დატუსაღება და გადასახლება.**

ბავარიის მადა

ლონდონი. 31 ოქტომბერი „ეკო დე პარი“-ს ბერლინის კორესპონდენტის ცნობით, ბავარიის ნაციონალისტებმა ბავარიის საზღვარზე თავი მოუყარეს კარგად შეიარაღებულ დივიზიებს. ნაციონალისტების ლიდერი ჰიტლერი ჩავიდა საზღვარზე და მიიღო სარდლობა ამ დივიზიებზე. შეგროვებულ ძალების მიზანია—გაილაშქრონ ბერლინზე. იტყობინებიან, რომ საიმპერიო მთავრობის დამოკიდებულება ამ მოძრაობისადმი დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ პოზიციას დაიჭერს რეიხსვერი.

შტრეზემანი „ბრძოლის ველზე“

მემარჯვენე პრესა აძევებს შტრეზემანს.

ბერლინი. 29 ოქტომბერი. **მემარჯვენე პრესა, რომელიც არ კმაყოფილდება საქსონიის წინააღმდეგ მიღებული ზომებით, განაგრძობს მთავრობის წაქეზებას. „კრეიც-ცეიტუნგ“-ი საზგასმით აღნიშნავს, რომ ებერტი და სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთა ამჯობინებენ განხეთქილებას მემარჯვენე ფრთასთან, ოღონდ კი დარჩენ კოალიციონურ მთავრობაში.**

სამოქალაქო ომისაკენ მოწოდებისათვის.

ბერლინი. 29 ოქტომბერი. **იენში სამხედრო სარდლობამ დახურა კომუნისტური ახალი გაზეთი სამოქალაქო ომისაკენ მოწოდებისათვის.**

კომპარტიის მოწოდება

ბერლინი 29 ოქტ. გერმანიის კომპარტიის ცეკამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია: ...(გაურკვეველია)... კარმა მიიღო პუანკარეს პირობები, მაგრამ შტრეზემანის მთავრობა მფარავს ამას, რადგან ეშინია ბავარიის წინააღმდეგ გალაშქრების. ფრანგების მიერ მოსყიდულ სეპარატისტების ზურგს უკან მოქმედებენ სტინესი და ოტტო ვოლფი. ქვეყანას მოღალატურათ ლახვარი ჩასცეს აგრეთვე სოციალ-დემოკრატებმა პფალცში. ბურჟუაზია გზავნის დამსჯელ ექსპედიციებს საქსონიის და ტიურინგიის წინააღმდეგ, წინააღმდეგ დამშეულ მასებისა. თუ პროლეტარიატი არ შეაკავშირებს თავის რიგებს, ის იქნება საბოლოოთ განადგურებული, მიუხედავათ მისი ძალების უმეტესობისა ბურჟუაზიასთან შედარებით.“

მტკიცე ერთიანი ფრონტის შექმნას ხელს უშლის სოციალ-დემოკრატების გამყიდველი პოზიცია. მუშებმა უნდა გააძევონ სოციალ-დემოკრატიის ბელადები და გაერთიანდენ კომუნისტებთან. კაპიტალიზმის და სამხედრო დიქტატურის დამარცხება შეიძლება მხოლოდ საყოველთაო გაფიცვით და შეიარაღებული ძალით. თვითეული მუშა ვალდებულია „შეიარაღდეს და შევიდეს პროლეტარულ რაზმში“. (დასასრული გაურკვეველია).

როგორ „მუშაობენ“ ჯალათები

დაწვრილებითი ცნობები საქსონიის კაბინეტის დამხობის შესახებ.

ბერლინი. 29 ოქტ. ჰეინცემ ორშაბათს წინადადება მისცა საქსონიის მინისტრებს გადამდგარიყვნენ და ნაშუადღევის 3 საათისათვის გაენთავისუფლებიათ სამინისტროს შენობა. ცეიგნერმა უარი განაცხადა საქმეების ჩაბარებაზე, მაგრამ დასთანხმდა შენობის განთავისუფლებაზე. ნაშუადღევის 3 საათზე ყველა სამინისტროები დაკავებულ იქნენ ჯარების მიერ ტყვიისმფრქვეველებით და ნაღმის მსროლელებით. მინისტრები ძალით იქნენ გაყვანილი შენობიდან.

ლანდტაგში რეიხსვერმა 3 ნაციონალისტ დეპუტატის ხელმძღვანელობით დაიკავა კომპარტიის ფრაქციის ოთახი. ტელეფონის მავთულები გადაჭრილია და ფოსტა რეიხსვერის მიერ არის დაკავებული. ლანდტაგში აკრძალულია კომისიების და ფრაქციების სხდომები. დეპუტატების დაპატიმრებას ადგილი არ ჰქონია.

პირველ ყოვლისა მუშათა პრესა აკრძალეს.

ბერლინი. 29 ოქტ. ლეიპციგსა და ხემნიცში პოლიციამ დაიკავა კომუნისტების სტამბა.

[illegible]მავ ბანაკში

მზადება ტიურინგიაში შესაჭრელად.

რომი. 31 ოქტომბერი. **ბავარიის ნაციონალისტები თავს უყრიან თავიანთ ძალებს კობურგში და თავდასხმით ემუქრებიან ტიურინგიას.**

ხელს უწყობენ ფაშისტებს.

ბერლინი. 29 ოქტომ. ფაშისტურ ორგანოს „ფოლკიშერ ბეობახტერ“-ის რედაქტორი ერხარდტი, რომელსაც სდევნიდა გერმანიის უმაღლესი სასამართლო, კვლავ გამოჩნდა მიუნხენში **ბავარიაში რესპუბლიკის დაცვის კანონის გაუქმების შემდეგ და** განაახლა თანამშრომლობა გაზეთში. ერხარდტი გამოდის მოხსენებებით მრავალრიცხოვან მიტინგებზე მიუნხენში, სადაც მას ხვდებიან დიდი ოვაციებით.

ბერლინი. 29 ოქტომბერი. **ჰიტლერის და ერხარდტის ფაშისტური რაზმები თავს იყრიან ტიურინგიის საზღვარზე.**

ინგლისის პროლეტარიატი გერმანიის ამბების შესახებ

მუშათა პარტია და ტრედ-უნიონები პროტესტს აცხადებენ გერმანიის რევოლიუციის დაღრჩობის წინააღმდეგ.

ლონდონი. 29 ოქტომ. ინგლისის სხვადასხვა ქალაქებში მუშათა პარტიის **ორგანიზაციებმა და ტრედ-უნიონებმა გამოაქვთ პროტესტის რეზოლიუციები გერმანიის მთავრობის მოქმედების გამო.** რეზოლიუციებში აღნიშნულია, რომ **მთავრობა თავს იმაგრებს მხოლოთ საალყო წესებით და დაღუპვისაკენ მიაქანებს ხალხს.** მუშები თავის ხელფასს ქაღალდის მარკით იღებენ, ხოლო კაპიტალისტები თავის ფასებს ოქროს ვალიუტით ანგარიშობენ.

მსხვილი მემამულეები აწყობენ ქალაქის პროლეტარიატის ბლოკადას. კაპიტალისტები ხურავენ წარმოებებს და აუქმებენ რვა საათის სამუშაო დღეს. **ქალაქი ლუკმა პურის წართმევით ემუქრება მრავალ მილიონ მშრომელებს.**

მთავრობა რეინის ოლქს და რურს საფრანგეთის მთავრობას აბარებს. ბავარია კარის მეთაურობით ემიჯნება გერმანიას. **ბავარიის კრონპრინც რუპრეხტის მდივანი მოლაპარაკებას აწარმოებს პუანკარესთან ბავარიის მონარქიის აღდგენის შესახებ,** რის მაგიერ პუანკარე რეინის ოლქის გამოყოფის ცნობას მოითხოვს.

10 ნოემბრისათვის ინგლისის კომუნისტური პარტია იწვევს ლონდონის ოლქის ყველა პროლეტარულ ორგანიზაციების სადელეგატო კონფერენციას, რომელმაც უნდა განიხილოს შექმნილი მდგომარეობა.

ქვას ქვაზე არ დასტოვებდნენ.

ლონდონი. 29 ოქტ. გაზეთ „დეილი გერალდ“-ის ერთ-ერთ წერილში ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივანი ფიმენი აღნიშნავს, რომ **ინგლისის პროლეტარიატი, რომლის შესახებ ამბობენ, რომ ის კონსტიტუციონურათ არის განწყობილი, ქვას ქვაზე არ დასტოვებდა თავის ქვეყანაში, რომ მას განეცადა თუნდაც იმის ნახევარი, რასაც განიცდის გერმანიის პროლეტარიატი.**

საკონტრიბუციო საკითხის გარშემო

მრეწველთა შეთანხმება ფრანგებთან.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. სტინესმა და კრუპმა მიაღწიეს შეთანხმებას ფრანგებთან რურის ოლქში მუშაობის დაუყოვნებლივ განახლების საკითხში.

პარიზი. 31 ოქტომბერი. კრუპმა გადასცა ფრანგების ხელისუფლებს რამდენიმე მილიონი... (დამახინჯებულია)... უცხოეთის ვალიუტით თავის ვალდებულებათა შესრულების გარანტიის სახით.

მოხმენაც კი არ სურთ.

პარიზი. 31 ოქტომბერი. გუშინ უნდა გამართულიყო საკონტრიბუციო კომისიის სხდომა გერმანიის ნოტის განსახილველად. ინგლისის დელეგაციის წინადადებით გადასწყდა არ მოუსმინონ გერმანიის წარმომადგენლის მოხსენება და არ გამოიტანონ არავითარი გადაწყვეტილება, სანამ მოკავშირეების მთავრობები საბოლოოდ არ შეთანხმდებიან ექსპერტთა განზრახულ კონფერენციის კომპეტენციის საკითხში.

ინგლისი უკმაყოფილოა რეინის ოლქის ჩამორთმევით.

ლონდონი. 31 ოქტ. ხელმძღვანელი პოლიტიკური წრეები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს რეინზე დაწყებულ სეპარატისტულ მოძრაობას. ძალიან საეჭვოა, რომ ინგლისი დასთანხმდეს რეინის ოლქის ჩამოშორებაზე, რაც სჩანს ბალდვინის უკანასკნელ სიტყვიდან, რომელშიაც მან განაცხადა:

„გერმანიის რომელიმე ნაწილის გამოყოფა ცალკე სახელმწიფოთ ჩაითვლება ვერსალის ხელშეკრულების დარღვევად და მაშინვე იქონიებს გავლენას ყველა მოკავშირეებზე, რადგან ეს რამდენიმე წლით გადადებს გერმანიის მიერ ხვედრ კონტრიბუციის გადახდას“-ო.

დაპყრობილ ოლქებში

ამბოხებანი ინგლისურ ზონაში სიმშილობის ნიადაგზე

ბერლინი. 31 ოქტ. „ტაიმსის“ **კელნის კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისის საოკუპაციო ზონაში დაიწყო ამბოხება სიმშილობის ნიადაგზე.**

შტრეზემანი ნიანგის ცრემლებს ღვრის.

ბერლინი. 31 ოქტ. გერმანიის მთავრობა ოფიციალურად აცხადებს, რომ რეინის ოლქის მცხოვრებნი უკმაყოფილონი არიან სეპარატისტული მოძრაობით: **დაპყრობილ ოლქების მცხოვრებთა მდგომარეობა დღით-დღე უარესდება. მომავალი კვირა იქნება ყველაზე მძიმე რურის ოლქისათვის, რადგან წარმოების შეწყვეტა გატარებულია ისეთი ფორმით, რომელიც უდრის მუშაობის სრულ შეწყვეტას. თითქმის ყველა დიდი წარმოებანი გაჩერებული არიან.** მთელ პასუხისმგებლობას საქმის ასეთი მდგომარეობისათვის აკისრებენ საოკუპაციო ხელისუფლებას, მაგრამ გერმანიის მთავრობა ხელახლა აცხადებს, რომ ის მზად არის შეუდგეს მოლაპარაკებას.

საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე

ამხ. ტროცკის ბრძანება ოქტომბრის ექვსი წლისთავის გამო

მოსკოვი. 31 ოქტ. ბრძანებაში, რომელიც გამოცემულია ს. ს. რ. კ. რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტროცკის მიერ ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის გამო, ნათქვამია: „**ს. ს. რ. კავშირი მე-6-ე წლის თავს ეგებება დიდ და მრისხანე ამბების დროს, რომელიც თავს დასტრიალებს ევროპას. უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ჩვენ გამხნევებული ვართ მტკიცე გადაწყვეტილებით უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობა და მისი მომავალი.** ჩვენი მხურვალე სიმპატიები მიმართულია ყველა ქვეყნის მშრომელებისადმი, ჩვენი ლონისძიება—მშვიდობიანობის დაცვისაკენ, მაგრამ **საბჭოთა მთავრობის საომარი სიფხიზლე არ შესუსტდება მანამდე, სანამ არ მოისპობა იმპერიალიზმის მტაცებლური ზრახვები.** 7 ნოემბერს ჩვენი **ზეიმი იქნება დემონსტრაცია ზავის სახარგებლოთ ხალხთა შორის,** მაგრამ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ის იქნება იმის მაჩვენებელი, რომ ყველანი მზათ ვართ თავი დავდოთ ბრძოლისათვის იმათ წინააღმდეგ, ვინც მოინდომებს შებღალოს ჩვენი მშვიდობიანობა და შრომა“.

საბჭოთა კავშირი და იაპონია

კარახანის პროტესტი იაპონიის ძალმომრეობის წინააღმდეგ.

პეკინი. 29 ოქტომბერი. ნოტაში, რომელიც კარახანმა გადასცა ჩინეთში მყოფ იაპონიის დესპანს, პროტესტია გამოცხადებული იაპონიის გემების მიერ ჩადენილ ძალმომრეობის გამო საკავშირო რესპუბლიკის წყლებში, რომლის წინააღმდეგაც ჩიჩერინმა პროტესტით მიჰმართა ინგლისის, საფრანგეთის და შეერთებულ შტატების მთავრობებს. კარახანი აღნიშნავს. საკავშირო რესპუბლიკას იმედი აქვს, რომ იაპონიის მთავრობა აუკრძალავს თავის სამხედრო გემებს საკავშირო რესპუბლიკის წყლებში შესვლას, საბჭოთა ხელისუფლებისაგან წინასწარი დასტურის აუღებლად, დამნაშავეებს სასტიკად დასჯის და საკავშირო რესპუბლიკას აუნაზღაურებს ხსენებული მოქმედებით მიყენებულ ზარალს.

პოლონეთის ამბები

იერიში რკინისგზელებზე ჯერჯერობით უნაყოფოა.

ვარშავა. 29 ოქტომბერი. რკინის გზათა მილიტარიზაციამ ჯერ-ჯერობით ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო. სამსახურში გაწვეული რკინისგზელები არ გამოცხადდენ.

ხმები საალყო წესების შესახებ.

ვარშავა. 29 ოქტომბერი. ვარშავაში აკრძალულია ყოველგვარი მიტინგი და დემონსტრაცია. დადის ხმები, რომ მთავრობას განზრახული აქვს საალყო წესების გამოცხადება ვარშავაში და გაფიცვის დანარჩენ რაიონებში.

„წესრიგის უზრუნველსაყოფათ“.

ვარშავა. 29 ოქტომბერი. შინაგან საქმეთა მინისტრს კერნიკს გაფიცვებთან ნაყოფიერ ბრძოლისათვის და „წესრიგის უზრუნველსაყოფათ“ ფართო უფლებები ენიჭება.

პოლონეთის კაბინეტის ცვლილების შესახებ.

ხარკოვი. 30 ოქტომბერი. „როსტას“-ს თანამშრომელთან საუბარში გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა უკრაინაში შლიხტერმა პოლონეთის კაბინეტში მომხდარ ცვლილებების გამო აღნიშნა, რომ მთავრობაში შესულ კორფანტის და მისი თანამოაზრეების პოლიტიკური მრწამსი სერიოზულ შიშს ბადებს პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობის საკითხში. მაგრამ შლიხტერმა იმედი გამოსთქვა, რომ პოლონეთი, ისე, როგორც ს. ს. რ. კ., მშვიდობიან გამოსავალს იპოვის.

სხვადასხვა

ინგლისი

ბონარ-ლოუს გარდაცვალება

ბერლინი. 31 ოქტ. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ 30 ოქტომბერს ფილტვების ანთებისაგან გარდაიცვალა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბონარ-ლოუ.

ნორვეგია

საჭიროა ს. ს. რ. კავშირის დე-იურე ცნობა.

ქრისტიანია. 29 ოქტ. ნორვეგიის ყოფილმა გარეშე საქმეთა მინისტრმა რეისტადმა ნორვეგიასა და დანიას შორის გრენლანდიის საკითხში მომხდარ კონფლიქტის გამო წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა ს. ს. რ. კავშირთან შპიცბერგენზე ნორვეგიის სუვერენიტეტის ხელშეკრულების დადების საჭიროება, რაც შესაძლებელი იქნება მხოლოთ მაშინ, როდესაც საბჭოთა მთავრობა ცნობილი იქნება დე-იურე. „არბეიტერ ბლადეტ“-ი ენერგიულათ მოითხოვს საბჭოთა მთავრობის დაუყოვნებლივ ცნობას.

სპარსეთი

ახალ კაბინეტის შემადგენლობა.

თეჰერანი. 29 ოქტ. ახალ კაბინეტში შედიან: სამხედრო მინისტრი—რიზა ხან, გარეშე საქმეთა მინისტრი—ზოკადულ-მულკ, იუსტიციის—ქიაზიმ-ხანსურ, სახალხო განათლების—სულეიმა-მირზა, საზოგადოებრივ აღმშენებლობის—ხაჯიელ მმალევ (სოციალისტი), ფოსტა-ტელეგრაფის—კუდლიარ-ხანი, (ნაციონალისტთა თანამგრძნობი), ფინანსთა—მუდირნომულკი (რადიკალი).

გმობენ ინგლისის პოლიტიკას.

თეჰერანი. 29 ოქტომბერი. შაბათს შესდგა საპროტესტო მიტინგი, რომელსაც 25.000 კაცი დაესწრო. ორატორები, და მათ შორის, ქალები, გმობდენ ინგლისის პოლიტიკას აღმოსავლეთში.

წითელი ახალგაზრდობა

რუსეთი

კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის დღესასწაული.

მოსკოვი. 31 ოქტ. რუსეთის კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გერმანიის მუშათა ახალგაზრდობას დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც ატყობინებს, **რომ რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის წევრებმა დაამზადეს პირველი 6 ორთქლმავალი,** წითელ გერმანიაში საბჭოთა პურის გასაგზავნად. ჩვენ ვდღესასწაულობთ პირველი ხუთი წლის თავის იუბილეს—ნათქვამია დეპეშაში—და იმედი გვაქვს, რომ ჩვენს მომავალ იუბილეს გადავიხდით **საბჭოთა გერმანიის კომუნისტურ ახალგაზრდობის** კავშირთან ერთად.

სოციალ-დემოკრატების კიდევ ერთი ღალატი

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 31 ოქტომბერი. „პრავდა“ სწერს: „საქსონიის მთავრობა განდევნილია „დემოკრატიულ რესპუბლიკის“ ბანდებით, რომელშიაც სხედან სოციალ დემოკრატები. ჰამბურგის აჯანყების შემდეგ, რომელიც ჩაიშალა მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ღალატის გამო, გერმანიის მუშათა კლასმა განიცადა საქსონიაში დიდი, თუმცა ნაწილობრივი, დამარცხება.

აქედან, მთავარი დასკვნა ის არის, რომ საჭიროა უფრო მკაცრი კრიტიკა სოციალ-დემოკრატიის, და განსაკუთრებით, მემარცხენე სოციალ-დემოკრატიის მიმართ, რომელიც ნამდვილ ბარიერს წარმოადგენს მუშათა კლასის გზაზე. მუშათა პარტიის გამარჯვება შესაძლებელია არა სოციალ-დემოკრატებთან ერთად, თუნდაც ისინი მემარცხენენი იყვნენ, არამედ იმ შემთხვევაში, თუ იგი სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგაც იბრძოლებს. მუშათა კლასს ძალა-უფლების ხელში ჩაგდება შეუძლია იმდენათ, რამდენადაც ამ ძალა-უფლებას კომუნისტური პარტია დაიპყრობს, რომელსაც მისდევს რევოლიუციონურ პროლეტარიატის უმრავლესობა.

სოციალ-დემოკრატიის ერთ მხარეზე დგანან—ბურჟუაზიულ რესპუბლიკის პრეზიდენტი ებერტი და ჯალათი ნოსკე, მეორე ფლანგზე კი—ცეიგნერი და მისი თანამოაზრენი. მემარჯვენეები ჟლეტენ მუშებს, მემარცხენენი კი აწყნარებენ და, გადამწყვეტ დროს, ღალატობენ მათ. მემარჯვენეები იმიტომ ითმენენ მემარცხენეებს, რომ უკანასკნელნი გადამწყვეტ წუთს კომუნისტების წინააღმდეგ გამოდიან. ასე მოხდა ჰამბურგში და საქსონიაში.

ჩვენმა პარტიამ მთელი თავისი ენერგიით უნდა ამჟღავნოს მემარცხენე სოციალ-დემოკრატების საქციელი. კომპარტიამ უნდა მოსპოს მათი გავლენის ნაშთი, გაარღვიოს ის ზღუდე, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს კომპარტიასა და მუშათა ზოგიერთ წრეებს შორის და მაშინ ის გადიქცევა მასების ბრძოლაში, როგორც ერთად-ერთი მუშათა პარტია, რომელიც პირდაპირი გზით მიდის ძალაუფლებისაკენ და რომელიც უზრუნველჰყოფს პროლეტარიატის დიქტატურას“.

მუშურ-გლეხური მთავრობა და პროლეტარიატის დიქტატურა

ამხ. ზინოვიევის წერილი

მოსკოვი. 28 ოქტომბერი. „ვერავითარი ერთიანი ფრონტის ტაქტიკა ვერ იხსნის გერმანელ მუშებს სამოქალაქო ომის აუცილებლობისაგან, თუნდაც რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ მხარი დაუჭიროს ერთიან ფრონტს. ესევე ითქმის „მუშურ-გლეხურ მთავრობის“ ლოზუნგზე. მუშათა მთავრობის ფორმულა არის ერთიანი ფრონტის ტაქტიკის შემადგენელი ნაწილი. ამ ფორმულის ამოცანა იყო „პროლეტარიატის დიქტატურის“ ლოზუნგის ისეთ ფორმაში ჩამოყალიბება, რომ იგი ყოფილიყო შესაფერისი არა მარტო ავანგარდისათვის, არამედ პროლეტარიატის საშუალო ფენების არიერგარდელი ნაწილებისათვის. ვინც ფორმულას სხვა მნიშვნელობას აძლევდა, ვინც ფიქრობდა, რომ საქმე ეხება ისტორიულ განვითარების მთელ ეტაპს, ვისაც სწამდა, რომ მუშათა მთავრობა შეიძლება იქნას შედგენილი საპარლამენტო კომბინაციების გზით,—ის ამახინჯებდა კომინტერნის აზრს.

პროლეტარიატის დიქტატურა არც ისე ადვილი საქმეა, თუ გინდა მუშათა კლასის განთავისუფლება. ემზადე პროლეტარიატის დიქტატურისათვის საბრძოლველად. მხოლოდ გამონაკლისის სახით, გარემოებათა შემთხვევით კომბინაციის გამო, შესაძლებელია მოკლე ხნით საშუალედო მუშათა მთავრობის არსებობა, რომელიც არ იქნება ჯერ კიდევ პროლეტარიატის დიქტატურა, მაგრამ იქნება პირველი ნაბიჯი აქეთკენ. მუშათა კლასის განთავისუფლების სხვა ფორმა, თუ არა პროლეტარიატის დიქტატურა, ჯერ-ჯერობით არ არის გამონახული. მუშათა მთავრობა ჰსევდონიმია პროლეტარულ დიქტატურის. ფორმულა „მუშათა მთავრობა“ ადვილად ვრცელდებოდა სოციალ-დემოკრატიულ და უპარტიო მუშათა ფართო მასებში. ეს იყო ანბანის პირველი ასო მუშებში, რომელნიც ასწრებდენ „ანის“ გამოთქმას, ჩვენი ხელმძღვანელობით თანდათან მოახერხეს ანბანის დანარჩენი ასოების თქმაც.

ფორმულა „მუშათა მთავრობა“ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთი კლასის,—მუშათა კლასის,—ფარგლებში. ფორმულა „მუშათა და გლეხთა მთავრობა“ უფრო ფართო ამოცანას ისახავს: იგი ვრცელდება 2 კლასზე, ეს ნიშნავს არა მარტო მუშათა კლასის დაკავშირებას, არამედ, აგრეთვე, გლეხობის ფართო წრეების ჩაბმას ბურჟუაზიის წინააღმდეგ და პროლეტარიატის ჰეგემონიისათვის ბრძოლაში. რაც მუშათა მთავრობაზე ითქვა, იგივე ითქმის აგრეთვე მუშათა და გლეხთა მთავრობის შესახებაც.

მუშურ-გლეხურ მთავრობის შესაქმნელად საჭიროა ჯერ ბურჟუაზიის დამარცხება და ბურჟუაზიულ მთავრობის მოსპობა. ბურჟუაზია და მემამულეები ნებაყოფლობით არ დაუთმობენ ძალა-უფლებას არც მუშურ, არც გლეხურ და არც მუშურ-გლეხურ მთავრობას. ჩვენი ლოზუნგების გამომუშავების დროს საჭიროა ანგარიში გაეწიოს აგიტაციის მოქნილობას, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება ჩვენი პოლიტიკურ პოზიციის ნათელყოფას და რევოლიუციონურ მიზანშეწონილობის ძირითად მოთხოვნილებებს. მუშურ-გლეხური მთავრობა არის მთავრობა, რომელიც შექმნა აჯანყებულმა პროლეტარიატმა, რომელიც ბრძოლაში იშვა; იგი ემყარება მუშათა კლასს და მას იცავს მშრომელნი და გლეხობა.

არ შეიძლება, რომ განმანთავისუფლებელ ბრძოლაში უმთავრესი როლი პროლეტარიატს არ მიეკუთვნოს, მაგრამ იმავე დროს პროლეტარიატს არ შეუძლია გაიმარჯვოს და გაამაგროს თავისი გამარჯვების შედეგები, თუ იგი არ შექმნის მტკიცე კავშირს გლეხობასთან.

ბოლშევიზმის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ბოლშევიზმმა პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი დასვა მახლობელ ისტორიულ დღეების ამოცანათ, შეიგნო პროლეტარიატისათვის ძლიერი მოკავშირის შოვნის აუცილებლობა და ჰპოვა კიდეც ასეთი გლეხობაში. ჰპოვა რა მოკავშირე, მან შესძლო პროლეტარიატის და გლეხობის კავშირის ფორმის გამოძებნაც. ამაში მდგომარეობს ბოლშევიზმის ამოცანა საერთაშორისო მასშტაბით.

დღემდე საერთაშორისო მასშტაბით ეს ლოზუნგები აბსოლიუტურათ გამართლებულია. თანამედროვე ბულგარეთში მუშათა და გლეხთა მთავრობის ლოზუნგმა დაამტკიცა თავისი საკმაო სისწორე. თანამედროვე იტალიაში, ჩეხო-სლოვაკიაში, საფრანგეთში შეიძლება დაკმაყოფილება მუშათა და გლეხთა მთავრობის საერთო ლოზუნგით. თანამედროვე გერმანიაში, რომელიც უკვე მიადგა გადატრიალების ხანას, საერთო ფორმულა აღარ არის საკმაო განსაკუთრებით მსხვილ სამრეწველო ცენტრებში. აქ, პროპაგანდისა და მასიური აგიტაციის დროს, საჭიროა განემარტოს მუშათა ფართო მასებს, რომ საქმე შეეხება პროლეტარიატის დიქტატურას, დიქტატურას სოფლების და ქალაქის მშრომელებისას.

ალგებრაულ ფორმულების ხანა თანამედროვე გერმანიამ განვლო. საგიტაციო საშუალებებს უნდა ახასიათებდეს სრული სიმტკიცე და სისრული. გადამწყვეტი ნაბიჯი ხვალვე უნდა იქნეს გადადგმული. რუსეთში, ოქტომბრის წინ, ყველაზე უფრო პოპულიარული ფორმულა იყო „საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა“. დადგა დრო, როდესაც ეს ფორმულები სავსებით პოპულიარული უნდა გახდეს გერმანიაშიაც. გერმანიის კომპარტია საერთოდ სწორად იქცეოდა მზადების პერიოდის განმავლობაში, მიიზიდა რა მუშათა მთავარი მასები პროლეტარიატის ავანგარდთან. ეხლა გადადგმული უნდა იქნეს მეორე ნაბიჯი. პროლეტარიატის ავანგარდი ხდის უკანასკნელ ფარდას, რომელიც ჰფარავს ფართო მასების მახლობელ მომავალს. პროლეტარიატის ავანგარდი პირველი იწვევს ცეცხლისაკენ და გადამწყვეტ მომენტში თან გაიყოლებს მთელ მუშათა კლასს“.

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

ამხ. ა. ვაშაძის გამოწვევით შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ ერთი ჩერვონეცი.

გ. ლ. რადოვიჩი.

ამხ. მ. კვარაცხელიას გამოწვევაზე გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად შემოგვაქვს რვა ოსმალური ლირა და ვიწვევთ ჩვენ მხრივ შემდეგ ამხანაგებს მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან: ზ. ვოლოხს, ს. კალანტაროვს, გ. ფარსადანოვს, მ. ლიხგეიმს, დიმ. კლდიაშვილს და ანდრო კალანდაძეს. ჩვენგან ამხ. გოშაძე დამატებით იწვევს სახელმწიფო კინო წარმოებიდან—გოგიტიძეს და ნაზაროვს თითო ექვს-ექვს ლირაზე.

ვლ. ცომაია, ნ. მათვეევი, ს. გოშაძე, ი. სალაძე.

გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ გარე-კახეთის რაიპარტკომმა შეაგროვა 207 მილიონი 575.000 მანეთი. აღნიშნული თანხა შეგროვილია: ამხ. გოფმანისგან (როზენფელდის საზოგადოება) 40.000.000 მ., გაბო ქოქრაშვილისგან 55.050.000 მ., გაბო დოჩიძისაგან 15.175.000 მან. და ამხ. გიორგაძისაგან 97.350.000 მანეთი. სულ 207.575 000 მან.

ამხ. ი. გულორდავას გამოწვევით შემომაქვს ერთი ჩერვონეცი გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ალექსანდრე ფაჩულიას, კალისტრატე ლომიას, ტარიელ სიჭინავას, ნიკო შამათავას, პეტრე ნადარეიშვილს, გრიგოლ გვაძაბიას, გრიშა გაბისონიას, მიშა დანელიას, ილია ფაილოძეს, ბესარიონ ხუბუას, ვალერიან ბარკალაიას, ჟორჟი კვირაიას, ვალოდია ჯინორიძეს, ათანასა თევზაძეს, ნიკო გრიგოლიას, გრიგოლი ჰანტურიას, დათიკო დათუაშვილს და ლადიკო ხუციშვილს.

იმედი მაქვს ამხანაგები არ დამიგვიანებენ პასუხს.

ბაგრატი გოგინავა.

ამხ. მოსე კვარაცხელიას და დათიკო ცინცაძის გამოწვევით შემომაქვს 50 მილიონი მანეთი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ და ჩემი მხრივ ვიწვევ ქ. ფოთიდან სევერიანე მუსერიძეს, ნიკო მეიშვილს და ლევან დგებუაძეს, ხოლო ეს უკანასკნელი როგორც ხე-ტყის მრეწველი ვიმედოვნებ შეიტანს ჩემზე გაცილებით მეტს.

ევგენი გუგუშვილი.

შემოვიდა 31 ოქტომბერს:

გ. რადოვიჩი 1 ჩერვონეცი, ვ. ცომაია 8 ოსმალური ქაღ. ლირა, გარე-კახეთის რაიონის პარტკომი 207.575.000 მ., ბ. გოგინავა 85 000.000 მ. ე. გუგუშვილი 50.000.000 მ. **სულ** 1 ჩერვონეცი, 8 ოსმალური ქაღ. ლირა და 342 575.000 მ.

წინეთ შემოსულით: 268 ჩერვონეცი, 9 ნახ. გირ. ინგ. სტერლინგი, 30 ნახ. ოსმალური ქაღ. ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 8 ოქროს ბეჭედი, 2 ოქროს სამაჯური, 1 ოქროს საგული, 1 ოქროს საყურე, 1 ვერცხლის ჩაის კოვზი, 34 ვერცხლის მანეთი, 2 ვერცხლის პორტსიგარი, 1 ვერცხლის რგოლი, 6 913.807.000 მანეთი.

რუსეთის ცაკის მესამე სესია

კამათი ადგილობრივ ფინანსების შესახებ.

მოსკოვი. 31 ოქტ. ცაკის სესიის მეორე დღის სხდომა იწყება ფინანსთა სახ. კომისარის მოხსენების გარშემო გამართულ კამათით ადგილობრივ ფინანსების შესახებ. ზოგიერთი ორატორები აღნიშნავენ, რომ ის შემოსავალი, რომელსაც ფინანსთა სახ. კომისარიატი აძლევს ადგილებს, ვერ დაფარავს ადგილობრივ ბიუჯეტზე გადატანილ ხარჯების ნახევარსაცკი. ჯანმრთელობის სახ. კომისარი ამხ. სემაშკო, სთვლის რა პროექტს აუტანელად ადგილობრივი ორგანოებისათვის, ხაზს უსვამს რომ ეკონომიური სიძნელენი და ფინანსიური კრიზისი გვაიძულებს ჩვენ მხარი დაუჭიროთ პროექტს.

ფინანსთა სახ. კომისარიატის ადგილობრივ ფინანსების სამმართველოს უფროსი ამხ. პოლიუდოვი აღნიშნავს, რომ წარმოდგენილ პროექტს ფაქტიურად არ გადააქვს აღმასკომების მხრებზე ახალი ხარჯები, ვინაიდან ადგილობრივ ბიუჯეტზე გადატანილი ხარჯები არსად, არც ერთ გუბერნიაში არ ყოფილან უზრუნველყოფილი სახელმწიფოებრივი ბიუჯეტით.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ვლადიმიროვი ლაპარაკობს: „ადგილობრივ ბიუჯეტის შექმნის დროს მთელი საქმე მდგომარეობს მეურნეობის სისწორით წაყვანაში; უნდა შევისწავლოთ შემოსავლის გადიდება, გასავლის შემცირება და გუბერნიებში არსებულ მეურნეობის რაციონალურად გამოყენება“. შემდეგ ამხ. ვლადიმიროვმა გამოაქვეყნა წარსული წლის შემოსავალ-გასავლის ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა მომავალ საოპერაციო წლისათვის. წარსულ წელს გადასახადებით შემოვიდა 416 მილიარდი, ხოლო მიმდინარე წელს ეს გადასახადებთ მოგვცემენ 67 მილიარდს. ტრანსპორტმა წარსულ წელს მოგვცა 406 მილიარდი, ხოლო მიმდინარე წელს მოგვცემს 590 მილიარდს. სამაგიეროთ ძალიან მცირდება ემისია: წარსულ წელს ემისია შეადგენდა 416 მილიარდს, ხოლო მიმდინარე წელს იგი დაყვანილი იქნა 180 მილიონამდე.

ამხ. ვლადიმიროვის მოხსენების განსახილველად არჩეულ იქნა 30 კაცისაგან შემდგარი კომისია. მორიგ საკითხად დასმული იყო მოხსენება ურალის ოლქის რაიონებად დაყოფის შესახებ. სესიამ დაადგინა მოისმინოს მოხსენება საბჭოთა აპარატის გამარტივების საკითხის განხილვის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავისათვის

ოქტომბრის ზეიმის წესრიგი

8 ნოემბერს—იაჩეიკების ღია კრებებზე ჯარის ნაწილების თანდასწრებით მოხსენებები შემდეგ თემაზე: „ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავი და გერმანიის ამბები“. [illegible] 5 და 6-ს მიტინგები წარმო[illegible]. 6-ს საღამოს ყველა მუშათა, [illegible]რო და ახალგ. კომკავშირის [illegible]ში მოგონებათა საღამოები, [illegible]ოდიენები, კონცერტები ზედმიწევნით რევოლიუციონური შინაარსით.

7-ს დილით—დილის 11 საათზე ალლუმი შოთა რუსთაველის პროსპექტზე.

ალლუმში მონაწილეობას იღებენ: ჯარები, მუშათა ორგანიზაციები, სასწავლებლები, ახალგაზრდათა კომკავშირი და სპარტაკი.

მუშათა ყველა ორგანიზაციები ახალგაზრდათა კომკავშირთან ერთად იკრიბებიან თავიანთ რაიონებში:

1 რაიონი შეკრების დრო დილის 8 საათი, გამგზავრების 8 ნახ. საათი.
2 „ „ „ „ 8 ნახ. ს. „ 9 „
3 „ „ „ „ 8 ს. „ 8 ნახ. „
4 „ „ „ „ 9 ს. „ 9 ნახ. „

რაიონებში მიტინგები არ იმართება, რათა არ დაიგვიანონ ალლუმზე. შეკრებილები მწყობრი რიგებით [illegible] დროშებით, მუსიკით და [illegible]ერით ალლუმის ადგილისაკენ. [illegible] რაიონი დადგება დაწყე[illegible] ახალ მუზეუმთან სახალხო კომისართა საბჭოს პირდაპირ. 2-ე რაიონი ჩერდება პირველის შემდეგ ალექსანდრეს ბაღთან, 3-ე რაიონი —მუშათა სასახლესთან და 4-ე რაიონი— საქ. კომპარტიის ცეკასთან. ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატთან ეწყობიან ყველა სასწავლებლები—უნივერსიტეტი, პოლიტეხნიკუმი, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, მუშათა ფაკულტეტი, ტეხნიკუმები და შრომის სკოლები.

დილის 10 საათისათვის ყველანი უნდა იყვნენ ალლუმის ადგილას.

7-ს საღამოს ყველა თეატრებში, ცირკებში, კინოებში უფასო სანახაობანი. იმ თეატრებსა და კლუბებში, რომელნიც ცენტრიდან დაშორებული არიან, გაიმართება კონცერტები და წარმოდგენები.

საღამოზე ილიუმინაცია და მაშხალები.

ოქტომბრის დღესასწაულის მომწყობი კომისია.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბაქოს საბჭოს პლენუმი.

ბაქო 30 ოქტომბერი. 27 ოქტ. მოხდა პლენუმის უკანასკნელი სხდომა ბაქოს საბჭოს მეოთხე ყრილობისა. მოსმენილ იქმნა აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიში წარსული მოღვაწეობის შესახებ და აგრეთვე აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველოს მოხსენება, ნავთის მრეწველობის მდგომარეობისა და მუშებისათვის ბინების აშენების შესახებ. პლენუმმა დაადასტურა, რომ ბაქოს საბჭოს სისრულეში მოუყვანია 34 პუნქტი. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველოს მოხსენებით, 192[illegible] წელს ნავთის ამოღება და ჭების ბურღვა ნავარაუდევი გეგმის თანახმად წარმატებით შეუსრულებიათ. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ 1924 წლის სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად ისე უნდა მოეწყოს ნავთის მრეწველობა და ისეთს პირობებში უნდა იყოს ჩაყენებული, რომ მას შეეძლოს თავისუფლად გამოიყენოს ნავთის ნაწარმოებნი. ამასთანავე ნავთის ნაწარმოებთა თვითღირებულების შემცირებისათვის ბაქოს საბჭო წინადადებას იძლევა სასწრაფოდ შეამციროს ზედმეტი ხარჯები და მოსამსახურეთა პერსონალი. შინადადება მიღებული, საჩქაროდ დასრულდეს მუშათა ბინები, რისთვისაც გადაიდოს ხელუხლებელი თანხა.

აზერბეიჯანის ცენტრალ. აღმასრულებელ კომიტეტის სესია.

ბაქო. 30 ოქტომბერი. აზერბეიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დიდი პრეზიდიუმის დადგენილებით, მომავალ სესსიაში შეიტანენ ამხ. სერებროვსკის მოხსენებას, ნავთის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ და საბჭოთა აპარატის მოწესრიგების საკითხს.

საბინაო ამხანაგობანი.

ბაქო. 28 ოქტ. ბაქოს კომუნალური მეურნეობის უძრავ ქონებათა განყოფილება ადგენს ანკეტას, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს საბინაო ამხანაგობის მცხოვრებთა, მათი გამგეობის წევრთა პარტიულ და სოციალურ შემადგენლობის და ამხანაგობის მმართველ ორგანოებში პარტიულ ელემენტების მონაწილეობის რაოდენობის დათვალიერება.

ბამბის საწმენდი ქარხანა.

სალიანი. 28 ოქტომბერი. 21 ოქტომბერს სალიანში ამუშავდა „ბამბის საწმენდი ქარხანა № 5. მიმდინარე წელს მან უნდა დაამზადოს 100.000 ფუთი ნედლი მასალა.

კოოპერაცია.

ბაქო. 30 ოქტ. „კონკორდია“ გამოაცხადეს წარმოებითი კოოპერაციის საერთაშორისო ორგანიზაციად. მასში ჩაწერვა ადგილობრივ მოსახლეობისათვის თავისუფალია.

„კონკორდიის“ ფონდიდან „აზერბეიჯანის კოოპერაციის“ ჰაეროპლანის სასარგებლოდ გადადებულია 100 ჩერვონეცი, გერმანიის მუშათა და იაპონიის დაზარალებულ მუშების სასარგებლოდ თითოსთვის 50 ჩერვონეცი.

სომხეთი.

კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ხუთი წლის თავი.

ერევანი. 30 ოქტ. 28 ოქტომბერს ერევანში იდღესასწაულეს რუსეთის კომუნ. ახალგ. კავშირის არსებობის ხუთი წლის თავი. ქალაქი მორთული იყო. მოეწყო ლექციები, კრებები, სასპორტო ვარჯიშობანი ახალგაზდა კომუნისტებისა და სპარტაკელებისა.

29 ოქტომბერს მოხდა საზეიმო სხდომა სომხეთის კომპარტიისა და კომუნ. ახალგ. კავშირის ორგანიზაციებისა.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ერევანი. 30 ოქტომბერი. ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სამმართველო ერევანში აარსებს სკოლებს, კავშირის წევრთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ.

სამკურნალო საქმე.

გორისი. 30 ოქტომბერი. სომხეთის წითელმა ჯვარმა იკისრა ზანგეზურის უზრუნველყოფა ხინით. ერევნიდან მიღებულია ორი მოძრავი აფთიაქი ამბულატორიისათვის. ეპიდემიური ავადმყოფობანი აღარაა. მიღებული ზომების მეოხებით ქავანა და მალარია მოისპო.

გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ.

გალა[illegible]აპატი. 30 ოქტომბერი. გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ შემოწირულებათა შემკრებ სამაზრო კომისიის ცნობებით, ზანგეზურსა და მის მიდამოებში შეგროვილია 4 მილიარდი მანეთი. გლეხები სწირავენ პურს, ბამბას და სხვა პირნახულს. საბჭოთა მოსამსახურეები დიდ თანხებს სწირავენ.

პარტიული ცხოვრება

მისალმება საქართველოს კომპარტიის ცეკას აფხაზეთიდან

კოდორის მაზრის მეხუთე პარტკონფერენცია, რომელიც მტკიცედ [illegible]კავშირებულია კომუნისტური შეგნებით და რევოლიუციონური ნებისყოფით, გიგზავნით თქვენ მხურვალე სალამს და ელის თქვენგან საჭირო მომენტში დირექტივებსა და ხელმძღვანელობას.

თავმჯდომარე **ჯავახია.**

ტფილისის ალმასკომის კომუჯრედში

26 ოქტომბერს, საღამოს 6 საათ[illegible] შესდგა უჯრედის მორიგი სხდომა. [illegible] კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. [illegible]ძე და მდივნობდა ამხ. მოჩალოვი. [illegible]ის წესრიგში იდგა სამი საკითხი: [illegible] მორიგი ამოცანები კომპარტიისა [illegible] დელეგატების არჩევა საუბნო [illegible]ტკონფერენციაზე 3) ცირკულიარების გაცნობა.

კომპარტიის მორიგ ამოცანების [illegible]სახებ მოხსენება გააკეთა ამხ. [illegible]ტიომოვამ, რომელმაც დაწვრილებით გაშუქა ეს ამოცანები, რის შემდეგ დამსწრე ამხანაგებმა გამოსთქვეს თავისი აზრი კომპარტიის ამოცანების შესახებ.

მე-4 საუბნო პარტკონფერენციისთვის არჩეულ იქმნენ დელეგატებათ შემდეგი ამხანაგები: ლადო სუხიშვილი, არტიომოვა, ჯაფარიძე, კიკნაძე, წულაძე, და კანდიდატებათ: ტარმიდოვი და დუმბაძე.

ცირკულიარების წაკითხვის და გაცნობის შემდეგ კრება საღამოს 9 საათზე დაიხურა.

მუშკორი **ლომისელი.**

ახალ-სენაკი

2[illegible] ოქტომბერს, ქ. სენაკში შესდ[illegible] საერთო ქალაქ სენაკის, ძონძორ[illegible]ულის, თეკლათის, ზანის და ხორ[illegible] თემების ორგანიზაციების კრება, [illegible]მელსაც დაესწრო 135 კაცი. კრე[illegible] თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. სამსონ მამულია, მდივნად ე. შამერიძე. [illegible]ის წესრიგში იყვა შემდეგი საკითხები: საერთაშორისო მდგომარეობა, მოხსენებები ადგილებიდან [illegible] სამაზრო პარტიულ კონფერენციის დელეგატების არჩევა.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სამსონ მამულიამ, რომელმაც აღნიშნა დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა საბჭოთა კავშირის და შეეხო აგრეთვე გერმანიის ამბებს და იქ მომქმედ ძალთა განწყობილებას. გერმანიის კომუნისტური პარტია გაბედულ ბრძოლას აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, მაგრამ სოციალ-დემოკრატებთან ერთად შტრეზემანის მთავრობა შეეცდება სისხლში ჩაახრჩოს გერმანიის მებრძოლი პროლეტარიატი. მსოფლიო ბურჟუაზიაც შეეცდება პროლეტარიატის ძალას დაუპირისპიროს თავისი ძალები. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ამ მომენტისთვის, რომ ხელი შეუწყოთ სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებას.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა ამხ. ს. მამულიას მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე ვესალმებით გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატს და ვართ რა დარწმუნებული, რომ გერმანიის კოალიციონური მთავრობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს სოციალ-დემოკრატია, ამზადებს ფაშისტურ გადატრიალებას, რათა სისხლში ჩაახრჩოს მუშათა კლასი და შემდეგ მსოფლიო ბურჟუაზიასთან ერთად იერიში მიიტანოს საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ—ჩვენ ყველას გასაგონათ ვაცხადებთ, რომ მზათ ვართ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად.

მოხსენებიდან პარტიული მუშაობის შესახებ გამოირკვა, რომ თემებში პარტმუშაობა სწარმოებს სასურველად. შემდეგ მოხდა სამაზრო პარტკონფერენციაზე დელეგატების არჩევნები: არჩეულ იქნა შემდეგი ამხანაგები: მაკარი ბედია, სამსონ მამულია, კალისტრატე ლომია, კირილე ლომია, ნესტორ ადამია, სპირიდონ ტყემუჩავა, ილარიონ გრიგოლია, ვოლოდია ბერაია, ალექსანდრე ფაჩულია, ერმალო შალამბერიძე, კაპიტონ მელიქაძე, ვანო ჩაკვატაძე, ისიდორე გულორდავა, ალექსანდრე ოჩიგავა, ერმილე შუშანია, სანდრო თურქია, ანია მამულია, კანდიდატებად: ვალოდია ნოდია, არტემ ნადარეიშვილი, ილია ქანტურია, ლავრენტი ჯავახია, ლუხუ გაგუა და გრიშა მალანია.

ე. შალ—ძე.

ოზურგეთი

26 ოქტომბერს, პარასკევს, ერთიან პარტიულ დღეს გაიმართა ქალაქის ორგანიზაციის კრება ახალგაზრდა კომკავშირის მუშათა კლუბის დარბაზში. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები. 1) პარტიის ამოცანები თანამედროვე მომენტში, 2) მოხსენება სამაზრო მეხუთე პარტკონფერენციის შესახებ. 3) ოქრო ვერცხლის შეგროვება პარტიის წევრთა შორის გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლათ, 4) განცხადებები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. თ. დოლიძე, რომელიც ახასიათებს გერმანიაში შექმნილ მდგომარეობას და კაპიტალიზმის რღვევის პროცესს, განმარტავს ამ გადამჭრელ მომენტში თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი პარტიის პოლიტიკა და თვითეული პარტიის წევრის მოქმედება. მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

ამხ. კილაძემ გააკეთა მოხსენება მეხუთე პარტკონფერენციის მუშაობის და მიღებულ დადგენილებების შესახებ, რაც კრების მიერ მიღებულ იქნა ცნობად და სახელმძღვანელოდ.

გურიის პარტ. კომიტეტის დადგენილებას გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ფონდში პარტიის წევრების და კანდიდატების მიერ ოქრო-ვერცხლის შეტანის შესახებ, კრება ალტაცებით ეგებება და ავალებს ამხანაგებს მის დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გატარებას. კრებაზე გაისმის ხმები: „ოქრო-ვერცხლის და ფუფუნების საგნების დრო ეხლა არ არის, როდესაც მთელს მსოფლიოში პროლეტარიატი თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებს მსოფლიო რეაქციის წინააღმდეგ მეტად აუტანელ პირობებში“. კრება თავის მხრივ იწვევს ჩოხატაურის, ლანჩხუთის და სხვა რაიონების ორგანიზაციებს, რათა მიიღონ ენერგიული ზომები ამ დადგენილების სავსებით შესრულებისათვის.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება სამხედრო ვარჯიშობის შესახებ. რადგანაც წინა თვეებში მინდვრებში მუშაობა ხელს უშლიდა პარტიის წევრთა შორის სამხედრო მეცადინეობას, ეხლა, ყანებში სამუშაოების მოთავების შემდეგ, განახლებულ იქნას სამხედრო ვარჯიშობა. კრება ადგენს, რომ კვირაში ორჯერ, ხუთშაბათს და კვირას, გაიმართოს სამხედრო ვარჯიშობა სისტემატიურად.

დამსწრე.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(31 ოქტომბერი).

ჩერვონცები — — —	95,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	89,000
ჩეკები —	84,000
დოლარები ეფექტ. —	20,500
ჩეკები	19.000
ოსმ. ქაღ. ლირა	10.500
იტალიური ლირა	600
ფრანგული ფრანკი	900
საბჭ. ფულის ნიშნები	13,5

მუშკოოპის ფასები.

(31 ოქტ.)

პური 1 ხარ.—400 ათ., პური 2 ხარ.—325, ძროხის ხორცი—1 მილ. ცხვრის ხორცი—1550 ათ., შაქარი რაფინადი 4.080 ათ, ფხვნილი შაქარი 2975 ათ., მაკარონი—1360 ათ., კარტოფილი—130 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(31 ოქტომბერი.)

პური 1 ხარ. გირ. 600—700 ათასი, პური 2 ხარ.—400, ძროხის ხორცი—1250—1300, ცხვრის ხორცი—1600, შაქარი რაფინადი 4.100 ფხვნილი შაქარი—3 მილ., ბრინჯი ალდაშის 900, მაკარონი 1400, კარტოფილი—150.

ბირჟის მიწოდება.

(31 ოქტომბ.)

ალდაშის ბრინჯი. ლურსმნები ფხვნილი შაქარი რუს. შაბიამანი. კანიფოლი. სპილენძი ცენტროსოიუზის ჩაი. აბრეშუმი. ტყის მასალა. რუს. მანუფაქტურა. იტალიური მანუფაქტურა. სკიპიდარი ფრანგული. ქიმიური ნაწარმოები, კაუსტიური სოდა. ასანთი რუს. საპონი. მზესუმზირას ზეთი. სალომასი. ცემენტი და ეტერნიტი. ელექტრო-ტეხნიკური მასალა.. ქვა-მარილი ნახიჩევანის. ყუბანის ფქვილი (საკანდიტრო).

ბირჟის მოთხოვნილება.

სალომასი. მზესუმზირას ზეთი. ყუბანის ფქვილი 1 ხარ. ფხვნილი შაქარი. შაქარი რაფინ. რუს. აბრეშუმი. ტეხნიკური ცხიმი. ჩაი. ასანთი.

ბირჟის ოფიციალური გარიგებანი.

ყუბანის ფქვილი 2 მ. 10 კ. და 1 მან. 95 კაპ. ჩერვონცი ფუთში, ფრანკო სადგ. „ნევინომისსკაია“:

სკიპიდარი ფრანგ. 30 მან. ჩერვ. ფუთში და კანიფოლი 9 მ. 50 კ. ფუთში ფრანკო-ბორჯომი.

შაქარი რაფინ. რუს. და ჩეხოსლოვაკიის 17 მან. ფუთში ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

ოლიფის ზეთი 8 მან. ჩერ. ფუთში ფრანკო-სადგ. როსტოვი.

ცემენტი პორტლანდის—13 მ. 30 კაპ. ფუთში ფრანკო სად. ტფილისი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრებს დღეს ცვლილება არ ეტყობა.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

29 ოქტომბერს ბირჟის გარეშე დადებულია 11 გარიგება, სულ 106.993 თანხისა.

ს. ს. უ. სამთო განყოფილებაში

სამთო განყოფილების გამგებლობაში იმყოფება შემდეგი წარმოებები: გლაუბერის მარილის ქარხანა მუხროვანში, ცეცხლ-მაგარი აგურის ქარხანა „შრომა“, ტფილისის კერამიკული ქარხანა „ფაიანს“ და შირაქის ნავთის სარეწავები.

„შოვი“-ს წყლები

სამთო განყოფილების საგეოლოგო ნაწილმა სექტემბრის განმავლობაში მოახდინა „შოვის“ მინერალურ წყლების გამოკვლევა, საიდანაც აღმოჩნდა, რომ „შოვის“ წყლის დებეტი დღეში უდრის 15.000 ვედრას.

გლაუბერის მარილის ქარხანა.

სექტემბრის განმავლობაში დამთავრებულია ყოველგვარი საჭირო მუშაობა მუხროვანის ქარხნის სამუშაოდ გაშვებისათვის. გადაკეთებულია და დამზადებულია ქვაბები, მექანიკური მოწყობილება და სხვა.

ქარხანაში ირიცხება: საწარმოვო მუშა—5, არა საწარმოვო—3 დ დროებითი—10, მოსამსახურე—5. პირველ სექტემბრისთვის ქარხანაში იყო წინად ნამუშევარი მარილი 7368 ფუთი. ამ რიცხვიდან გაგზავნილია ბორჯომში 2019 ფ. 1 ოქტომბრისთვის დარჩა 5.348 ფუთი.

ქარხანა „შრომა“.

ამ ქარხანაში ირიცხება საწარმოვო მუშა—61, არა საწარმოვო—9 და მოსამსახურე—8. ქარხნის პროდუქცია: წინა თვიდან დარჩა—67.450 ცალი აგური; სექტემბერში გამომწვარია—32.200 ცალი, გაყიდულია—26.700, დარჩა 1 ოქტომბრისთვის—72.950 ცალი. ამავე თვეში ამოღებულია 10.291 ფუთი თიხის მიწა, ნაკლები, ვიდრე პროგრამის მიხედვით განზრახული იყო, რაც აიხსნება მით, რომ ადგილობრივი მუშები შემოდგომის სასოფლო მუშაობის გამო, ქარხანაში დროგამოშვებით მუშაობდენ.

კერამიკული ქარხანა „ფაიანს“.

ეს ქარხანა სამთო განყოფილების გამგებლობაში გადავიდა მხოლოდ სექტემბერში საწარმოვო მუშაობა ჯერ არ დაწყებულა; ამ თვის განმავლობაში გაკეთებულია საჭირო სახელოსნოების რემონტი, დაწყებულია ახალი „მუფელის“ ფეჩის დადგმა და სხვ.

შირაქის ნავთის სარეწავები.

შირაქის ნავთის ბედი ჯერ გამორკვეული არ არის. ირიცხება მხოლოდ 5 მუშა და 1 მოსამსახურე.

საქონლის და საფონდო ბირჟის კვირეული.

(17—23 ოქტომბ.)

აღნიშნულ კვირის განმავლობაში ბირჟას დაესწრო ბირჟის 225 წევრი და 117 არა წევრი. ამ დროს დადებულია საფონდო გარიგება—193, საქონელზე—9. საერთო ჯამი საფონდო გარიგებებისა აღირიცხება 195440 მან. ჩერვ., ან 1,279,479,100 ამ.-კავკ. ფულის ნიშნებით; ჯამი საქონლის გარიგებებისა უდრის 49653 ჩერვ. მან, ან 322,681,798 მან. ამ.-კავკას. ბონებით, სულ 245,093 მან. ჩერვ. ან 1,602.161,898 მან. ამ.-კავკ. ბონებით. მყიდველები იყვენ: სახელმწიფო დაწესებულებანი—28, კოოპერატივები—12 და კერძო პირები 22; გამყიდველები: სახ. დაწესებულებანი—159, კოოპერატივები—5, საზოგადო ორგანიზაციები—7 და კერძო პირნი—31. იყიდეს ვალიუტა: სახ. დაწესებულებებმა (ჩერვონცებით): 104350 მან., კოოპერატივებმა 9700 და კერძო პირებმა—81390. გაყიდეს ვალიუტა: სახ. დაწესებ.—151440 მან. კოოპერ.—550, საზოგადო ორგანიზაციებმა 11390 და კერძო პირებმა—27110. იყიდეს საქონელი კერძო პირებმა—99653 მან, გაყიდეს სახელმწ. დაწესებ.—49653 მანეთისა.

საქ. სატეხნიკო-საამშენებლო კომიტეტში.

სექტემბრის განმავლობაში სატ.-საამშენებლო კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ აღსრულებულია შემდეგი მუშაობა: საქ. სახ. კომისართა სასახლის რემონტი, სასახლის წინ გზა-ტკეცილის გაკეთება; სათბობის განყოფილების საწყობის № 1 გზის მოკირწყვლა და იქვე თავლის აშენება.

გარდა ამისა კომიტეტის მიერ შედგენილია 23 ხარჯთ-აღრიცხვა ქალ. ახალქალაქის და მის მაზრის აღსადგენად 161.330 მან. თანხისა და 3 ხარჯთ-აღრიცხვა სარემონტო მუშაობის სხვადასხვა სახ. კომისარიატების და ს. მ. უ ს. სამეურნეო ორგანოებისთვის—სულ 11.559 მანეთისა. გადასინჯულია 7 ხარჯთ-აღრიცხვა, წარდგენილი სხვადასხვა უწყებათა მიერ—სულ 5518 ჩერ. მან. თანხისა და დამტკიცებულია 10 ხარჯთ-აღრიცხვა—17.077 მანეთისა.

თამბაქოს მრეწველობა საქართველოში.

სექტემბრის განმავლობაში საქართველოს ტრესტის განკარგულებაში იმყოფებოდა 5 ფაბრიკა—სამი ტფილისში, ერთი ბათომში და ერთი ქუთაისში; გარდა ამისა—ერთი კოლოფების და ერთი ასანთის დამამუშავებელი ფაბრიკები. მუშაობდენ 24 დღე.

ამავე თვეში ტრესტის გამგებლობაში ირიცხებოდა 31 მოსამსახურე და 5 მუშა, ფაბრიკებში—1152 კაცი, აქედან ადმინისტრაციის მოხელენი—16, კანტორის მოსამსახურენი—77, საწარმოვო მუშები—947, არა საწარმოვო—112 კაცი.

ფაბრიკების მოქმედება სექტემბერში გამოიხატება შემდეგ ციფრებით:

ტფილისის ფაბრიკებში—წინა თვიდან დარჩა 16880 გირვ. თამბაქო, სექტემბრის განმავლობაში დამზადებულია 51,241 გირვ. გაყიდულია სულ 57,231 გირ. თამბაქო, იმავე ფაბრიკებით საანგარიშო თვის განმავლობაში დამზადებულია 40762400 ცალი პაპიროსი; წინა თვიდან დარჩა 81028600 ცალი. საერთო რიცხვიდან გაყიდულია სულ 58,926,795 ცალი პაპიროსი.

ბათომის და ქუთაისის ფაბრიკებში სექტემბერში დამზადებულია 5176 გირ თამბაქო და 8958265 ცალი პაპიროსი; გაყიდულია 7,183 გირ. თამბაქო და 8,875,155 ცალი პაპიროსი.

ასანთის ფაბრიკაში დამზადებულია 277 ყუთი და წინა თვიდან დარჩენილი 434 ყუთი, გაყიდულია 564 ყუთი, 91 პაჩკა.

იმავე თვეში კოლოფების დამმუშავებელ ფაბრიკაში დამზადებულია პაპიროსის კოლოფები 1235000 და წინა თვიდან დარჩა—183022. აქედან გაყიდულია 1209799 კოლ. მოყვანილი ციფრები რომ შევადაროთ შარშანდელ სექტემბრის ციფრებს, დავინახავთ, რომ შარშანდელი პროდუქციის რეალიზაცია აღემატება ამა წლის პროდუქციას: თამბაქო გაყიდული იყო 105,083 გირვანქა და პაპიროსი—142,205 ცალით მეტი.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

ა. | კ. ფინსახკომისარიატმა დაავალა საქართველოში რწმუნებულის სამმართველოს, რათა ს. ს. ს. რ. ფარგლებში შეეკრიბა მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ა. წ. ოქტომბრის განმავლობაში 2.000.000.000.000 მან. აღნიშნულ თანხის ანგარიშში 27 ოქტომბრამდე შემოსულა ხაზინაში:

ბორჩალოს მაზ.	600.000.000.000	მ. 150.000 ფ. ხორბლის მაგივრად
ტფილისის „	405 435 400.000	„ 74 699 „ „ „
სიღნაღის „	372.286.100.000	„ 138 230 „ „ „ და ნატ. 54 517 ფ. სულ 192747 ფ.
გორის „	180.000.000.000	„ 71.754 ფ. ხორბ. მაგ. ნატურით 27.500. „ სულ 99.254 ფუთი.
ახალქალაქ. „	230 529.097.000	„ 61.894 „ ხორბლის მაგივრად.
ახალციხის „	162 301.134.000	„ 34.502 „ „ „
დუშეთის „	162.750.000.000	„ 64.900 „ „ „
თელავის „	67.000.000.000	„ 17.500 „ „ „
სამხრეთ-ოსეთის	51.613.114.000	„ 21.915 „ „ „ და ნატ. 6.855 ფ. სულ 28.770 ფუთ.
თიონეთის „	17.299.503.000	„ 7.089 ფ. ხორბ. მაგივრად და ნატურით 1.292 ფ. სულ 8381 ფ.

ასე რომ, ფულად შემოსულია 27 ოქტომბრამდე 2.249.214.348.000 მანეთი. 642.483 ფუთი ხორბლის მაგივრად და ნატურით შემოსულია იმავე რიცხვამდე—90.164 ფუთი სულ კი ხორბლის ერთეულით შემოსულა—732.647 ფუთი.

დავალება ა. | კ. ფინსახკომისარიატისა 100 პროც. [illegible] შესრულებული.

კოოპერაცია

ცეკავშირში

ცეკავშირის გამომცემლობა. ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილება სასწრაფოდ აბეჭდინებს თ. კიკვაძის და გ. ჭუმბურიძის მიერ შედგენილ ქართული ენის ახალ სახელმძღვანელო წიგნს „მეგობარს“, რომელიც შეიცავს შრომის სკოლის მესამე განყოფილების სრულ კურსს. წიგნი განხილულია და მოწონებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ. სახელმძღვანელო შემკულია საუცხოვო შავ სურათებით, რომელთა შესრულებაში მონაწილეობა მიიღეს მხატვრებმა: მოსე და ირაკლი თოიძეებმა, ვალ. სიდამონ-ერისთავმა, ალ. მრევლიშვილმა, გ. ნათიძემ და შ. მამალაძემ.

„ჩვენი სკოლა“ კოოპერატივებში. ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებამ გაუგზავნა გასავრცელებლად საქართველოს ყველა მთლიან მომხმარებელ საზოგადოებებს და ცეკავშირის პროვინციელ განყოფილებებს თ. კიკვაძის. გ. ჭუმბურიძის და ფ. მგელაძის მიერ შედგენილი ქართული ენის სახელმძღვანელო „ჩვენი სკოლა“ 3 ნაწ., რომელიც შეიცავს შრომის სკოლის მეორე განყოფილების სრულ კურსს. წიგნი შემკულია საუცხოვო ფერადი სურათებით, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე.

ამ სახელმძღვანელოს, როგორც სამაგალითო გამოცემას შინაარსისა და ტეხნიკის მხრივ, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ მისჯილი აქვს პრემია. სახალხო განათლების კომისარიატის მიერ ის ცირკულიარულად გამოცხადებულია, როგორც სკოლებისათვის სავალდებულო სახელმძღვანელო.

ცენტროსოიუზში

ცენტროსოიუზის პრეზიდიუმმა დაადგინა მიიღოს მონაწილეობა ამიერკავკასიის ამა წლის მოსავლის რეალიზაციაში, იმ პირობით, რომ ცენტროსოიუზი მიიღებს 12 პროც. ხორბლეულობის შემოსავლის ღირებულებასა. აქედან 10 პროც. მიეცემა საქართველოს და აზერბეიჯანის კოოპერაციებს, დანარჩენი-კი-თვით ცენტროსოიუზს საორგანიზაციო ხარჯებისათვის.

ჯაგრის სახელოსნოს ლიკვიდაცია. მეტყავეთა კავშირმა წარუდგინა ცენტროსოიუზს ჯაგარის ფასი—18 მან. ფუთში. ცენტროსოიუზმა ეს ფასი გადამეტებულად სცნო.

ფასების დაკლება.

სხვადასხვა საქონელზე, რომელიც იმყოფება ცენტროსოიუზის საწყობებზე, დაკლებულია ფასები: ჩაი 35 პროცენტით, საკანდიტერო ნაწარმოები—20 პროც. მანუფაქტურა გაიყიდება ივლისის პრეისკურანტის ფასებში.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების საწყობი.

ახლო მომავალში გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო მანქანების და სხვა იარაღის საწყობი. მანქანების ნაწილების შეკრებაზე სპეციალისტები არიან მიწვეულნი.

კაკლის მიღება ცეკავშირისაგან. თანახმად დადებულ ხელშეკრულებისა ცენტროსოიუზი განაგრძობს კაკლის მიღებას ცეკავშირისაგან 15 ნოემბრამდე.

ტფილისის და მისი მაზრის შრომის სკოლებისა და ბავშვთა სახლების ხელმძღვანელთა კონფერენცია

კონფერენციის გახსნა

კონფერენცია გაიხსნა კვირას, 28 ოქტომბერს, დილის 11 საათზე ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის დარბაზში.

ფარდის ახდისას სცენის სიღრმეში გამოჩნდნენ მწკრივად დაწყობილი ბავშვები, ბავშვთა მესამე სახლის (ლუნაჩარსკის სახელობისა) მოწაფენი, რომელნიც მღეროდენ საბავშვო ინტერნაციონალს.

კრებას ხსნის ამხ. კაწარავა ტფილისის განათ. განყოფილების გამგე, რომელიც მოკლე სიტყვით აღნიშნავს იმ ძნელ პირობებს, რომელშიაც უხდება მუშაობა განათლების მუშაკთა და აგრეთვე მიუთითებს იმ მუშაობაზე, რომელსაც მოითხოვს თანამედროვე რევოლიუციონური ეპოქა განათლების ასპარეზზე მომუშავეთაგან.

საგანმანათლებლო უწყება დიდ ყურადღებას აქცევს ამ მუშაობას და ამ მიზნით გაიმართა მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები და ამავე მიზანს ემსახურება აღნიშნული კონფერენცია, რომელმაც უნდა გვიჩვენოს, რა გაკეთდა ახალი გზით ჩვენ სკოლებში და რა უნდა გაკეთდეს.

დასასრულ ამხ. კაწარავა მოუწოდებს დელეგატებს ნაყოფიერ და საქმიან მუშაობისაკენ.

მისალმებანი.

შემდეგ კონფერენციას ესალმება განათ. მუშაკთა პროფ-კავშირის სახელით ამხ. **შავერდოვა**, იგი აღნიშნავს კონფერენციის დიდ მნიშვნელობას, გამოსთქვამს სურვილს, რომ ასეთი კონფერენციები უფრო ფართე მასშტაბით ხშირად იმართებოდეს და ბოლოს უსურვებს დელეგატებს, წარმატებით სვლას ახალი სკოლის შექმნის მიზნებისაკენ.

კონფერენციას ესალმება აგრეთვე განათ. მუშაკთა სახლის სახელით ამხ. **წერეთელი.**

მარიამ ორახელაშვილის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.

დაბოლოს ესალმება კონფერენციას საქ. განათ. კომისარიატის სახელით ამხ. **მარიამ ორახელაშვილი** და თან აკეთებს ვრცელ მოხსენებას მიმდინარე მომენტზე. იგი თავის მოხსენებაში შლის მთლიან სურათს გერმანიის დღევანდელი მდგომარეობისას, უკეთებს ღრმა ანალიზს იქ მომხდარ ამბებს და ეხება მომავლის პერსპექტივებს.

საზოგადოება მხურვალე ტაშით აჯილდოებს მოხსენებას. შემდეგ შემოაქვთ რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ კონფერენცია სავსებით იზიარებს მომხსენებლის შეხედულებას, მხარს უჭერს რევოლიუციას და მზათ არის, რითაც შეუძლია, დაეხმაროს გერმანიის პროლეტარიატს რეაქციასთან ბრძოლაში. რეზოლიუციას კრება ერთხმად იღებს.

დილის სხდომა ამით მთავრდება.

საღამოს სხდომა.

იმავე დღეს, საღამოს 6 საათზე კრება იხსნება მცირე შრომის სკოლის დარბაზში.

პრეზიდიუმის არჩევა.

კონფერენცია ირჩევს პრეზიდიუმს. პრეზიდიუმში შედიან: თავმჯდომარეთ: ამხ. კაწარავა, გურგენიძე, თ. ბებურიშვილი, პ. კვირკელია, რ. ნიკულაძე, ქრისტელიუბოვი, შავერდოვის ქალი; მდივნები: ამხ. გარსევანიშვილი, კახაბერი და ფიტინსკაია.

კონფერენცია ირჩევს აგრეთვე საპატიო თავმჯდომარეებათ: ამხ. კანდელაკს, მ. ორახელაშვილს, ლ. სუხიშვილს დ. ოკუჯავას.

ამასთანავე კრება ერთხმად იღებს წინადადებას გაუგზავნოს მთავრობას მისალმება.

მუშაობის გეგმა და დღის წესრიგი.

ამის შემდეგ კონფერენცია იმუშავებს მუშაობის გეგმას და დღის წესრიგს. დღის წესრიგში [illegible] შემდეგი მოხსენებები [illegible] შემდეგი განაწილებით:

კვირა, 28 ოქტ.

საღამო. 1. საინფორმაციო მოხსენება ტფილისის განათლ. განყოფილების გამგის კ. კაწარავასი. 2. მასწავლებელთა საზოგადოებრივ პოლიტიკური გადამზადება—მოხსენება ამხ. შავერდოვასი.

ორშაბათი, 29 ოქტ.

დილა. 1 საზოგადოებათა მეცნიერება—მოხსენება ნათაძესი. 2. სამშობლო ენა—მოხსენება ვოლკოვისა.

საღამო. 1. შრომის სკოლა—მოხსენება ამხ. მარიამ ორახელაშვილისა და ქრისტელიუბოვის.

სამშაბათი, 30 ოქტ.

დილა. 1. ბუნებისმეტყველება—მოხსენება ელჩანინოვის. 2. მათემატიკა—ფლირინსკისა და რ. ნიკოლაძისა.

საღამო. 1. ფიზიკური აღზრდა—სოკოლოვსკისა და ნიკოლაძისა.

ოთხშაბათი, 1 ნოემბერი.

დილა. 1. სასკოლო ასაკამდე აღზრდა. 2. გეოგრაფია.

საღამო. 1. სკოლა—საკრებულო.

ხუთშაბათი, 2 ნოემბერი.

დილა. 1. კომპლექსური მეთოდი. 2. მუშაობა საბავშვო ახალშენში.

საღამო. 1. მუშაობის გეგმა.

დღის წესრიგს კონფერენცია ამტკიცებს.

ქრონიკა

— **სტუდენტთა მდგომარეობის გამორკვევა.** განათლების კომისარიატის მიერ, სტუდენტთა ბიუროებთან შეთანხმებით, 5 ნოემბრიდან დაიწყება ყველა უმაღლესი სასწავლებლების და მუშათა ფაკულტეტების მსმენელთა აღწერა. აღწერაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა მსმენელმა. აღწერა გაგრძელდება 5 დღეს.

— **საბინაო საქმე.** ცენტრო-კავშირთან დაარსდა საბინაო-საამშენებლო სექცია.

— **ოქტომბრის დღესასწაულისათვის.** ქ. ალმასკომის მცირე პრეზიდიუმმა ოქტომბრის დღესასწაულის მოსაწყობ ფონდის გასაძლიერებლათ გადასდო 3 მილიარდი მან.

— **კეთილ-მოწყობის განყოფილება.** ქ. ალმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა კეთილ-მოწყობის ქვე-განყოფილება გამოჰყოს უძრავ-ქონებათა სამმართველოსაგან და უშუალოდ დაუქვემდებაროს კომუნალურ განყოფილებას.

— **დანიშვნა.** ქ. ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილეთ და კომუნალურ განყოფილების გამგეთ დაინიშნა ამხ. ივანოვ-კავკასკი.

— **ქიმიურ ლაბორატორიის მოქმედება.** მიმდინარე წელს ქიმიურ ლაბორატორიის მიერ 1 იანვრიდან 1 ოქტ. წარმოებული იქნა 583 ანალიზი (ქიმიური-ნივთიერების გასინჯვა). ამ რიგად 1923 წელს თვეში გაკეთდა 63 ანალიზი მაშინ, როდესაც 1921 წელს ანალიზები თვეში კეთდებოდა 33.

— **სიკვდილიანობის რაოდენობა საავადმყოფოებში.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ცნობით, რესპუბლიკის საავადმყოფოებში სიკვდილიანობის რაოდენობა უდრის მხოლოდ 4 პროც.

— **საწოლების გამრავლება საავადმყოფოებში.** მიმდინარე წელს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა რესპუბლიკის საავადმყოფოებს მიუმატა 101 საწოლი.

— **ტფილისის პოლიტეხნიკუმში.** ორშაბათს, 29 ოქტომბერს, ტფილისის პოლიტეხნიკუმის დარბაზში შესდგა საზეიმო აქტი პოლიტეხნიკუმის 6 წლის არსებობის სახსოვრად. წარმოთქმული იყო მისალმების სიტყვები პროფესორთა საბჭოს, ტფილისის სტუდენტთა ორგანიზაციების, სახ. განათლების კომისარიატის და სხვ. წარმომადგენლების მიერ.

— **დანიშვნა.** სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის 30 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარი ამხ. ქართველიშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად დაინიშნა ამხ. კოსტანიანი.

უზენაეს სასამართლოს წევრად დაინიშნა ამხ. შუშანიკა გალდავა. დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს წევრად დაინიშნა ამხ. აფხაძე.

— **ახალი სკოლა.** ტფ. პოლიტგანათლება ხსნის სკოლას ჰასაკზე გადაცილებულ მუშა-მოსამსახურეთა შვილებისათვის. სკოლაში ჩაწერა და მიღება სწარმოებს ყოველდღე საღამოს 4—6 საათ. ქართველებისათვის მე-28-ე შრომის სკოლასთან—ნიკოლოზის ქუჩა № 60; სომხებისათვის მე-101-ე შრომის სკოლასთან, ვანქის ქუჩა № 12 და რუსებისათვის მე-41-ე შრომის სკოლასთან—დიდი მთავრის ქუჩა № 109.

— **კრება.** დღეს 1 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია რკ. გზ. მუშა-მოსამსახურე ქალების და რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ცოლების, დების და დედების საზოგადო კრება. დასწრება ყველასთვის სავალდებულოა.

— **საბავშვო სახლი გორში.** ამხ. კამოს სახელობაზე გორში გახსნილ სახლში ამ ჟამად იმყოფება 82 ბავშვი. ამათ შორის 53 ქართველია, 19 სომეხი, 5 რუსი, 5 ოსი და 1 პოლონელი.

— **ჰერმის ხევის შეკეთება.** დამთავრდა ჰერმის ხევის დამბების შეკეთება (ველის ციხეში), რომელიც ნიაღვარის დროს მახლობელ სოფლებს ანადგურებდა.

— **ბათომის დამზღვევი კასა.** ბათომის დამზღვევმა კასამ სექტემბრის განმავლობაში საექიმო დახმარება აღმოუჩინა 667 მუშა-მოსამსახურეს და ფულად დახმარების სახით გასცა 4 მილიარდი, 639 მილიონი 899 ათასი მან.

— **უმუშევართა ხელახალი გაწმენდა.** 15 ნოემბრიდან შრომის ბირჟის ყველა სექციებში დაიწყება უმუშევართა ხელახალი გაწმენდა.

— **შრომის ბირჟა.** 30 ოქტომბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა 618 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—104, სამუშაოზე გაიგზავნა—104.

შემთხვევები.

— **ბავშვის გვამის პოვნა.** 29 ოქტ., დილის 10 საათზე, მტკვრის ნაპირზე ნაპოვნი იქნა პატარა ბავშვის გვამი. ვინაობა გამოურკვეველია.

— **ბინის გაქურდვა.** 29 ოქტ. გაქურდეს მოქ. ქრისტინე გამრეკელის ბინა (დავიდოვის ქ. № 1). წაღებულია რამდენიმე მილიარდის ნივთები.

— **ბოროტ-მოქმედთა შეპყრობა.** 29 ოქტ. ღამის 11 საათზე შეიპყრეს სამი შეიარაღებული ბოროტ-მოქმედნი—ნიკოლოზ სალდატინი, ალექსანდრე როზირგინი და მათე კარტაშევსკი. აღნიშნულ პირთ ჰბრალდებათ მრავალგვარი ბოროტმოქმედებათა ჩადენა.

— **ქურდობა.** 29 ოქტ. გაქურდეს მოქ. შუშანა უზნავის ბინა (კამოს ქ. № 91).

— **სავაჭროს გატეხვა.** 29 ოქტ. ქსენიევის ქ. № 1 გაძარცვეს მოქ. ლევან ელიაზაროვის სავაჭრო. მიღებულია ზომები დამნაშავეთა აღმოსაჩენათ.

საბჭოთა სასამართლოში

ყაჩაღების საქმე

1923 წ. 27 ოქტომბერს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ საჯარო სხდომაზე განიხილა დუშეთის მაზრის სოფ. პირმისაანთ კარის მცხოვრების იასონ პირმისაშვილის, დუშეთის მაზრის სოფ. ბაზალეთის მცხოვრების შაქრო ეპიტაშვილის, და დავით გაბრიელის ძის მიშელაშვილის საქმე.

ზემოაღნიშნულ პირთ ბრალდებოდათ, 1923 წ. 16 იანვარს, დილით საქ. სამხედრო გზის მე-60 ვერსზე ინჟინერ ორლოვსკის გაძარცვა. ეს ბრალდება გამოძიებით დამტკიცდა, რის გამოც სასამართლომ დაადგინა: ბრალდება იასონ პირმისაშვილის, შაქრო ეპიტაშვილის და დავით მიშელაშვილის მიმართ, მასში, რომ ისინი ურთიერთ შორის შეთანხმებით და წინასწარი მოლაპარაკებით, მიმდინარე 1923 წლის 16 იანვარს, იარაღით ხელში გაძარცვის მიზნით თავს დაესხნენ, ქალაქ დუშეთიდან ეტლით მიმავალ სამხედრო გზის მეორე დისტანციის ინჟინერ ორლოვსკის და სიკვდილის მუქარით წაართვეს მუშებისათვის დასარიგებელი 70 მილიონი მან. ამიერ-კავკასიის ბონებით და 6 მილიარდი მანეთი რუსეთის საბჭოთა ფულის ნიშნებით; ესე იგი ჩაიდინეს დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია ს. ს. კ. 16 და 191 მუხლის მეორე ნაწილით, ჩაითვალოს დამტკიცებულად და თანახმად აღნიშნულ მუხლებისა მიესაჯოთ: ბრალდებულ იასონ თედოს ძე პირმისაშვილს და შაქრო ალექსის ძე ეპიტაშვილს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა; ბრალდებულ დავით გაბრიელის ძე მიშელაშვილს კი, რვა წლით გამასწორებელ სახლში დაპატიმრება სასტიკი იზოლიაციით. აღნიშნულ პირთა ქონება ჩამორთმეულ იქნას და გადაეცეს ხაზინას. აგრეთვე მათზე არ იქნას გავრცელებული ამნისტია გამოცემული სრულიად საქ. ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1923 წ. 25 თებერვლის თარიღით. ხოლო მიშელაშვილს სასჯელის ვადა ჩაეთვალოს ს. ს. ს. 31 მუხლის თანახმად დაპატიმრების დღიდან. ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს—რევოლვერებს ეყოს კონფისკაცია და გადაეცეს საქ. განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილს (ჩონს). განაჩენი საბოლოოდ შედის ძალაში და უნდა იქნეს მოყვანილი სისრულეში 72 საათის განმავლობაში.

მუშათა ცხოვრება

თვითმშრომელთა კავშირის წევრების, ტფილისის მუშა-ხელოსნების საყურადღებოდ

თვითმშრომელთა საზოგადოების კომიტეტი გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს ოქტომბრის დღესასწაულის ჩასატარებლად, და მოუწოდებს ყველა ტფილისის მუშა-ხელოსნებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა დღესასწაულის ჩატარებაში.

გეგმა, შეკრების ადგილი და დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

თვითმშრომელთა საზოგადოების კომიტეტი.

პასუხი მუშკორს, ამხ. „მხილველს“.

მისი წერილების გამო.

(იხ. „კომუნისტი“ № 236 და 248)

გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში შემდეგი: გაზეთ „კომუნისტი“-ს № 236 და 248 მოთავსებული იყო წერილები მუშათა და გლეხთა ინსპექციის და სახალხო განათლების კომისარიატების საყურადღებოდ, რომლებშიაც ავტორი აღნიშნავდა კინო „სოლეი“-ს გამგის მოქ. დანიელიანცის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას და მოითხოვდა ამ უკანასკნელის სამსახურიდან გადაყენებას. ამ საქმის შესახებ მუშათა და გლეხთა ინსპექციას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს შემდეგი: მოქ. დანიელიანცის მიერ ბოროტმოქმედების ჩადენა აღმოჩენილია თვით ინსპექციის მიერ აგვისტოში მოხდენილი რევიზიის დროს, რის გამოც ინსპექციამ გადაუგზავნა სახალხო განათლების კომისარიატს მიმართვა 11 სექტემბერს № 3757-ით, რომელშიაც აღნიშნავდა საქმის ვითარებას და მოითხოვდა მოქ. დანიელიანცის და სხვათა სამსახურიდან დათხოვნას, რევიზიის მთელი მასალა კი გადაეგზავნა იმავე რიცხვში № 3758-ით აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორს, დანიელიანცის და სხვა დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

შემდეგ ამისა, 24 ოქტომბერს სახელმწიფო კინოწარმოების გამგეობა მომართვით № 770-ით, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ვინაიდან კინო „სოლეი“-ს გამგე დანიელიანცის მიერ გამოჩენილია სამსახურისადმი კეთილსინდისიერი მოპყრობა და საქმის ცოდნა, რასაც შედეგად მოჰყვა თეატრის შემოსავლიანობის გადიდება, შუამდგომლობს ინსპექციის წინაშე, რათა მოქ. დანიელიანცი სასამართლოში მის საქმის გარჩევამდე დატოვებულ იქნეს სამსახურში.

ინსპექციამ, მიიღო რა მხედველობაში კინოწარმოების გამგეობის ზემოაღნიშნული შუამდგომლობა, რომლის მიხედვით მთელი პასუხისმგებლობა დანიელიანცის სამსახურში დატოვებაზე ეკისრება თვით გამგეობას, და აგრეთვე ა. წ. 6 ივნისის „ზარია ვოსტოკა“-ში მოთავსებული განმარტება ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატისა შრომის კოდექსის მე-47 მუხლის შესახებ, საქმე დანიელიანცის შესახებ თავის მხრივ დასრულებულად ჩასთვალა.

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექ. სახ. კომისარიატი.

ამხ. მუშები საღად მსჯელობენ

მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის ტფილისის ღვინის სარდაფში საქმისა და წარმოების ძალიან მოყვარული მუშები არიან. დადებითადაა აგრეთვე შეფასებული აქაურ ადმინისტრაციის კანონიერი დამოკიდებულება ამხ. მუშებისადმი. დადებული კოლექტიური ხელშეკრულება ორთავე მხარეს მიერ სასურველად ხორციელდება. ამით კი იქმნება კარგი განწყობილება წარმოების ხელმძღვანელებსა და მათ თანამშრომელ მუშებს შორის, რაიც თავის მხრივ დადებით გავლენას ახდენს წარმოების განვითარებისა და წარმატების საქმეებზე. უკანასკნელად განზრახულია „სპეცებისათვის“ ჯამაგირების მომატება. და რომ მოხსენებულ კარგ ურთი-ერთ დამოკიდებულებაში წონასწორობა არ დაირღვეს საჭირო იქნება ამავე დროს პარალელურად მუშებსაც მოემატოს ხელფასი. აქაურ მუშათა შინაურ ოჯახური ცხოვრების გაცნობიდან სჩანს, რომ ზოგს ამხ. მუშებს მატერიალური დაბრკოლებათა გამო შვილები დარჩენიათ სკოლების გარეშე; ზოგსაც ძლიერ უჭირთ მოსწავლე შვილების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მაგრამ საღად მოაზროვნე მუშები თავს იმით იმედებენ, რომ ახლო მომავალში დადგება დრო ჩვენი ქვეყნის ეკონომიური წარმატებისა და მისი სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლებისათვის, ამით კი გაუმჯობესდება ჩვენი მუშების ეკონომიური მდგომარეობა და ყველა ის სამწუხარო შედეგები, რომელნიც პირდაპირ გამომდინარეობენ დღევანდელ ეკონომიურ კრიზისიდან.

მუშკორი **ჩხმელი.**

ლოთობა უნდა დავგმოთ მუშებმა

მრავალი წერილი დაწერილა გაზეთის ფურცლებზე და დღესაც იწერება, რომ ლოთობას დიდი ზარალი მოაქვს მუშათა კლასისთვის, როგორც გონების დაბნელება-სიჩლუნგით, ეკონომიურად, ისე ფიზიკურად დაავადებით. მაგრამ დაწერილი დაწერილადვე რჩება, სიტყვა სიტყვად და ზოგიერთი ამხანაგები ყურსაც არ იბერტყენ, ვერ გამორკვეულან სადათას ძილისაგან და ისევე განაგრძობენ ძველ საძაგელ ჩვეულებას.

ბევრს დარდიმანდობა ჰგონია ღვინის სარდაფში უსწორმასწოროდ ნაოფლარის ფლანგვა და ამით თავიც კი მოაქვს „პურადობაში“.

განა დღევანდელი მომენტი იმას გვავალებს და გვიკარნახებს, რომ თავისუფალი დრო ლოთობასა და ფუქსავატობაში გავატაროთ?

არა და ათასჯერ არა!

დღევანდელი მსოფლიო მუშათა მოძრაობა და ჩვენი მუშურ-გლეხური საბჭოთა წყობილება დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს მუშებს და გლეხებს. ჩვენზეა დამოკიდებული ჩვენი ბედის გამოჭედვა, ჩვენი თავისუფლება და მომავალი ბედნიერება.

ამისათვის გაფაციცებით უნდა ვადევნოთ თვალყური დღევანდელ ამბებს და ერთი წუთიც კი არ უნდა დავკარგოთ უბრალოთ და გაასკეცებულის ენერგიით ვაკეთოთ ის საქმე, რომელიც დაგვაკისრა დღევანდელმა გარემოებამ.

დღეს მთელი მსოფლიო ორ მოწინააღმდეგე ბანაკად არის გაყოფილი: ცალ მხარეს სდგას ცოფმორეული გაბატონებული კლასი ბურჟუაზია, რომელიც იკვებება და სუქდება მშრომელი ხალხის ნამუშევრით და ცდილობს ხელიდან არ გაუშვას ძველებური ბატონობა; ხოლო მეორე მხარეს ირაზმება მშრომელი ხალხი მუშები და გლეხები კომპარტიის მეთაურობით, რომელსაც სურს პროლეტარიატის საერთო ძალით დაამარცხოს მუშათა მტრები და ჩამოართვას ქვეყნის მესვეურობა და გადასცეს მშრომელთა კლასს.

ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში?

რასაკვირველია ის, ვინც მრავალრიცხოვანია, დარაზმული, შეგნებული აქვს ბრძოლის მიზანი და თავისი ძალა.

ასეთია მუშათა კლასი, რადგან რიცხვითაც ძლიერნი ვართ ჩვენ მტრებზე და შეგნებულიც გვაქვს ის დიდი მიზანი რისთვისაც ვიბრძვით.

ამისთვის გვმართებს მეტი სიფხიზლე და გამარჯვება ჩვენია.

მუშკორი დ—ელი.

სპეკულიანტებისთვის გამასწორებელი სასჯელი.

ამა წლის 18 ოქტომბერს შრომის სასამართლოში გაირჩა ორი საქმე შრომის კანონების დამრღვევი მოვაჭრეებისა 1. რესტორანი „ელდორადო“ პატრონის ვაშაკიძისა (ქ. მარქსის მოედ. № 3). და 2 რესტორანი „დათვი“-ს პატრონი კერესელიძის (ნეკრასოვის ქ. № 7). ეს ვაჭრატონები სისტემატიურად არღვევდენ არსებული შრომის კანონებს, არ უწევდენ არავითარ ანგარიშს, როგორც მუშათა ორგანიზაციებს, ისე შრომის ინსპექციას. ამისათვის იყო შრომის ინსპექტორის მიერ შედგენილი ოქმი რომელიც შრომის სასამართლოს გადაეცა. ვაჭარ-სპეკულიანტებს ედებოდა შემდეგი ბრალდება: მომუშავეებს ისინი იყვანდენ შრომის ბირჟის გარეშე, ამუშავებდენ მათ განუსაზღვრელ დროით, ეწეოდენ სისტემატიურ ექსპლოატაციას; მათ არ ჰქონდათ საანგარიშო წიგნაკებიც და სხვა. გამოარკვია ეს ფაქტები დაწვრილებით შრომის სასამართლომ და პირველი მათგანის დააჯარიმა 300 ჩერვონეცის მანეთით, ხოლო მეორე კი 200 ჩერვონეცის მანეთით.

ეს არის ერთი გამასწორებელი საშუალებათაგანი მსუნაგი სპეკულიანტების ასალაგმავად.

აი საბჭოთა ხელისუფლება და მისი შრომის სასამართლო მზად არის ყოველთვის დაიცვას ჩვენი მუშის ინტერესები ექსპლოატატორების თავგასულობისაგან.

მუშკორი რა.

ს. ხიდისთავის სამკითხველო

(ოზურგეთის კულტ. განათლების გამგ. საყურადღებოდ).

(წერილი გურიიდან).

ს. ხიდისთავის სამკითხველო, ერთი უძველესი სამკითხველოა ამ თემში, რომელსაც მრავალი კლიენტი ჰყავს, და რომელიც მის დაწინაურებას ყოველთვის პირნათლად ასრულებდა. აქ მოიპოვებოდა როგორც ძველი, ისე ახალი წიგნებიც და ყოველდღიური გაზეთებიც. ეს სამკითხველო ეკუთვნის ოზურგეთის კულტ. განათლების გამგეობას, რომელმაც ეს სამკითხველო ყოველივეს აღწერით ჩაიბარა და პატრონობაც მას უნდა გაეწია, როგორიც არის სამკითხველოს მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მიცემა, გაზეთების გამოწერა და სხვ. მაგრამ რას ვხედავთ? მოსამსახურემ, რომელიც პირნათლად ასრულებს ყოველივე მასზე დაკისრულ საქმეს, მხოლოდ ერთხელ მიიღო ჯამაგირი, და ისიც სულ ცოტა. უკვე რამდენიმე თვეა, რაც ის უიმედოთ შესცქერის თავის უბედურებას და მან არ იცის ვინ არის მისი პატრონი, ვინ უნდა მისცეს მას შრომის ხელფასი. გაზეთები თუ ვინმემ შემთხვევით არ გამოგზავნა, ამჟამად აქ არ მოიპოვება. ამ საკითხზე პრესაში იყო წერილები, მაგრამ ყურადღების ღირსი ვერ გახდით. დროა ამას მიექცეს ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს, და უნდა იქნეს დაკმაყოფილებული როგორც მოსამსახურე, ისე კულტურული მოთხოვნილება, რომელსაც განიცდის ჩვენი თემი.

მუშა ჭეჟიეთელი.

პასუხი მუშკორ გულიაშვილს მისი წერილის გამო

(იხ. „კომუნისტი“ № 238).

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 238-ში მოთავსებულია წერილი ამხ. გულიაშვილისა შემდეგი სათაურით: „ეს ასე არ უნდა ხდებოდეს“.

ამხ. გულიაშვილი თავის წერილში ეხება მეეტლეთა ბირჟაზედ დგომის საკითხს და სწერს, რომ მეეტლენი მუდამ ერთ „მიჩემებულ“, ადგილას იყრიან თავს და მთელ დღე და ღამეს იცდიანო, მათი ცხენები კი ამ ადგილებზე ანტისანიტარულ პირობებს ჰქმნიანო. ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ ამხ. გულიაშვილი სრულიად არ არის გაცნობილი მეეტლეთა საკითხთან და მიტომაც მას ელანდება რაღაც არანორმალური მოვლენები. ნამდვილად კი მეეტლეთ აქვთ ტფილისის ალმასკომის მიერ მითითებული გამოყოფილი ადგილი, სადაც უნდა გაჩერდნენ მეეტლენი თავიანთი ეტლებით მგზავრების მოლოდინში. ამ ადგილებზედ, სწორედ, თავიდან გაუგებრობის ასაცილებლად, ადმინისტრაციის თხოვნის თანახმადაც მეეტლეთა გამგეობამ გააკრა პლაკატები წარწერით, თუ რამდენი ეტლი უნდა იდგეს იმ ადგილას. ამ ჟამად ტფილისის ბირჟაზედ მუშაობს 250 ეტლი, რომლებსაც შევიწროვებული აქვთ სადგომი ადგილები. რაშია საქმე? მშვიდობიან დროს კი მუშაობდა 950 ეტლი და ყველასათვის საკმარისი სადგომებიც არსებობდა. მეეტლები თავის არსებობით ეხმარებიან არა მარტო თავიანთ თავს, ან მოსახლეობას, არამედ პირდაპირი დამხმარენი არიან მთავრობისაც შედგენილ რა სახელმწიფოს ცხენების თადარიგს. მეეტლეები ეხმარებიან ადმინისტრაციას ქუჩებში მომხდარ უბედურების შედეგათ დაჭრილ-დასახიჩრებულების გადასაყვანად და სხვა. ამხ. გულიაშვილი აღშფოთებულია, რომ ცხენები სადგომებზედ ჰქმნიან ანტისანიტარულ მდგომარეობას, რაც სიმართლეს მოკლებულია, რადგან მეეტლებს ერთ და იმავე ადგილას დგომა უხდებათ არა უმეტეს 2—3 საათისა, რომლის განმავლობაშიაც ბირჟის ცხენს დასჭირდეს მონეხვა, რადგან მას იშორებს ხშირად მოძრაობის დროს და იშვიათი მაგალითია, რომ ჩვენმა ცხენებმა დგომის დროს შექმნან ანტისანიტარული მდგომარეობა. ალბათ, ამხ. გულიაშვილი არ არის დაკვირვებული ამ საქმეზე და მიტომ ჰგონია, რომ იქ, სადაც ცხენები დგანან აუცილებლად უნდა იყოს ანტისანიტარული მდგომარეობა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის.

მეეტლეთა კავშირის თავმჯდომარე **რცხილაძე**

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„პიკის ქალი“ ახალი შემადგენლობით.

სახელმწიფო ოპერის დირექციამ „პიკის ქალის“ მესამე დადგმის დროს ოპერაში გამოუშვა ჩვენი თანამემამულე ორი ახალგაზრდა მომღერლები; ეს გამოწვეულია, ერთის მხრივ, იმით, რომ სხვადასხვაობა იქნეს შეტანილი ოპერების დადგმაში და, მეორეს მხრივ, დირექცია საშუალებას აძლევს ახალგაზრდა მომღერლებს გამოიჩინონ თავისი ნიჭი.

გრაფ ტომსკის პარტიაში გამოვიდა მომღერალი ელიოზაშვილი, რომელიც წინათ მასალსკის გვარით მღეროდა რუსულ-საოპერო სცენებზე; ელიოზაშვილის გარდა ამ საღამოს გამოვიდა აგრეთვე მეორე ახალგაზრდა მომღერალი ვენაძე, რომელიც ეხლა იწყებს საოპერო კარიერას; ის ასრულებდა ელეცკის პარტიას.

როგორც ერთი, ისე მეორე პარტია მეორე-ხარისხოვანია ოპერაში, მაგრამ ორივე პარტიაში მომღერლებს მაინც შეუძლიათ გამოიჩინონ თავისი ნიჭი და არტისტიულობა. განსაკუთრებით ტომსკის პარტიაში საჭიროა ხმის ფართო დიაპაზონი (რადგან საზღვრობითი ნოტა პირველ არიაში фа diesis —ბარიტონისათვის მაღალი ტესიტურაა).

ელეცკის პარტია დაწერილია ლირიულ ბარიტონისათვის—აქ საჭიროა კანტილენა და დიდი მუსიკალობა.

მოქ. ელიოზაშვილს საკმაო ფართო დიაპაზონის ხმა აქვს, მაღალი რეგისტრი უფრო ხმოვანია, ვიდრე სხვა რეგისტრები, ამან კი საშუალება მისცა მომღერალს ემღერა ნამდვილ ტესიტურით პარტიტურის მოთხოვნილების თანახმათ.

არ არის საჭირო, რომ ხაზგასმულ იქნეს თვითეული ფრაზა და თვითეული სიტყვაც კი—ეს ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს; საჭიროა მომღერალმა იმღეროს უფრო მეტი legato-თი და უკეთესი ფრაზიროვკით.

მოქ. ელიოზაშვილი მუსიკალური მომღერალია, უნდა ვიფიქროთ, რომ შემთხვევითი მოვლენაა ის, რომ შესრულებას აკლდა სიმტკიცე. მომღერალს კარგათ უჭირავს თავი სცენაზე და სცდილობს გადმოგვცეს როლის ნამდვილი სახე.

მოქ. ვენაძე თანდათან უფრო გვარწმუნებს ჩვენ თავის მუსიკალობაში. მსახიობის ხმას დიდი სიძლიერე არა აქვს, მაგრამ ეს არც საჭიროა ლირიულ ბარიტონისათვის. ახალგაზრდა მომღერალს მშვენივრათ უჭირავს თავი სცენაზე. კარგია გრიმი და სცენიური გადმოცემა.

მესამე მოქმედების არია მუსიკალურათ იყო შესრულებული, კარგად იყო შესრულებული აგრეთვე პირველი მოქმედების კანონიც. დაუცადოთ მომღერლების სხვა გამოსვლებს.

მუსიკოსი.

— **ლადო მესხიშვილის ხსოვნის საღამო.** დღეს, 1 ნოემბერს რუსთაველის თეატრში გაიმართება ლადო მესხიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად დიდი საღამო. საღამოში მონაწილეობენ დამსახურებული მსახიობები: ვასო აბაშიძე, საფაროვ-აბაშიძისა, ლადო მესხიშვილის ასული—ბაბო, მომღერალი სარაჯიშვილი, მსახიობები—ნინო ჩხეიძე, შალვა დადიანი, პოეტები და რუსთაველის თეატრის აკად. დასის მთელი შემადგენლობა და სხ.

— **წარმოდგენა მუშებისათვის.** შაბათს, 3 ნოემბერს რუსთაველის თეატრში მუშებისათვის წარმოდგენილი იქნება შალვა დადიანის პიესა „გუშინდელნი“ ქორელის რეჟისორობით.

— **ქართულ მხატვრობის გამოფენა.** ნოემბრის ბოლო რიცხვებში საქართველოს მხატვართა კავშირი დიდების ტაძარში გამართავს ქართველ მხატვართა ნაწერების გამოფენას.

— **მწერალთა კავშირების გაერთიანება.** 28 ოქტომბერს მოხდა მწერალთა კავშირის გაერთიანებული კონფერენცია. კონფერენციაზე არჩეულ იქნა საბჭო 33 კაცისაგან შემდგარი. საბჭომ თავის პირველ სხდომაზე 29 ოქტომბერს აირჩია პრეზიდიუმი 7 კაცისაგან შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—კოტე მაყაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე—ს. აბაშელი, მდივანი—ი. გრიშაშვილი, წევრები—პ. ინგოროყვა, პ. საყვარელიძე, პ. იაშვილი და ლეო ქიაჩელი.

— **„ახალი მწერლობის“ კორპორაცია.** „ახალი მწერლობის“ კორპორაციამ თავის თავმჯდომარეთ აირჩია გრ. რობაქიძე. ახლო ხანში გამოვა „ახალი მწერლობის“ კორპორაციის ყოველკვირეული გაზეთი.

— **„მხატვართა საღამოები“.** 7 ნოემბერს ხელოვანთა სასახლეში გაიხსნება „მხატვართა საღამოების“ სეზონი.

— **სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი „ივერია“.** ახლო ხანში გამოვა სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული ორგანო—„ივერია“ („ხომლის“ მაგიერ).

— **სიმფონია „დიდი ოქტომბერი“.** ახალგაზრდა კომპოზიტორმა მანსვეტოვმა დასწერა სიმფონია (ორკესტრისა და გუნდისათვის) რუსულ ენაზე—„დიდი ოქტომბერი“.

— **ახალი ჟურნალი „დროშა“.** 1 ნოემბრიდან ტფილისში გამოვა ამხ. მიხა კახიანის რედაქტორობით ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი „დროშა“.

— **ფილიპე მახარაძის ნაწერების სრული გამოცემა.** ახლო მომავალში გამოვა ამხ. ფილიპე მახარაძის ნაწერები რამოდენიმე ტომათ.

ლადო მესხიშვილის საღამოს გამო

დღეს რუსთაველის თეატრში იმართება ლადო მესხიშვილის სახელობის საღამო.

ეს სახელი ძვირფასია ქართველი მშრომელისათვის და ასეთივე ძვირფასი იქნება იგი მისთვის სამარადისოთ.

ის, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართულ თეატრს, ვინც შეუდრეკლათ იტანდა ათასგვარ გაჭირვებას ქართული კულტურის საკეთილდღეოთ, მისი სახელი ქართველ ხალხის მახსოვრობიდან არასოდეს არ წაიშლება.

ვის არ ახსოვს მისი შეუდარებელი თამაში, მისი არაჩვეულებრივი ტემპერამენტი?

ვასო აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვ აბაშიძისა, ნინო ჩხეიძე, კოტე მესხი, კოტე ყიფიანი, ლადო მესხიშვილი და სხვა, აი, ვინ შექმნა და განამტკიცა ქართული თეატრის საქმე.

ქართული თეატრი არასოდეს არ ყოფილა სათანადოთ დაფასებული საზოგადოების მიერ. ქართველი საზოგადოება ხშირად გაურბოდა მას და კლუბებსა და კარტის თამაშს აჯობინებდა ქართულ წარმოდგენებს.

მაგრამ ყველაფერმა ამან ვერ დაფრთხო ლადო მესხიშვილი და მისი ამხანაგები, რომელთაც მოამზადეს და აიყვანეს ქართული თეატრის საფუძველი იქამდის, სანამდის დღეს არის ასული.

სიცოცხლეში ჩვენმა საზოგადოებამ საპატიო იუბილე გადუხადა ლადოს, მაგრამ ამ ჟამად საჭიროა მისთვის ძეგლის აგება, რათა ყველას ახსოვდეს ძვირფასი და სამამულო მოღვაწის სახე.

იმედია დღეს ქართველი საზოგადოება ერთხელ კიდევ დაამტკიცებს ლადო მესხიშვილის პატივისცემას და დღევანდელ საღამოს დაესწრება.

ი—გ.

რაჭის საგლეხო კომიტეტების შუამდგომლობა

რაჭის მაზრის პირველი და მეორე ტოლის სოფლების საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების თხოვნით სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა წითელი ჯვრის და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წინაშე პირველ და მეორე სოფლის ტოლის გლეხობას საჭირო დახმარება აღმოუჩინონ სოფლებში სადი სასმელი და სახმარი წყლის მილებით გაყვანაში. მოსახლეობა ამ სოფლების წყალს ხმარობს კოდის ტბიდან.

ამ წყლისაგან ზემოაღნიშნულ სოფლის მოსახლეობას უჩნდება „ყიყვი“. ყიყვიდან დასნეულებული რაჭველები შრომის უნარს კარგავენ და სრულიად გამოუსადეგარნი ხდებიან ცხოვრებისათვის.

დამატებით კომისარიატმა თავის რწმუნებულს მიწერილობა გაუგზავნა რაჭაში ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს ტოლაში მცხოვრებ რაჭველებს თავის სოფელში მილებით სადი წყლის გაყვანის საქმის მოგვარებაში.

პროვინციაში

ტყიბულის რაიონი

ამჟამად ტყიბულის რაიონი აერთიანებს შემდეგ თემებს: საწირე, ორპირი და გურნა. პირველი ორი თემი მდებარეობს ტყიბულ-ქუთაისის რკინისგზის ხაზზე. მესამე, ე. ი. გურნა მდებარეობს სად. ხრესილიდან ჩრთილოეთის მხრივ 10 ვერსის მანძილზე.

ამ უკანასკნელ დროს, როდესაც დაისვა კითხვა მაზრის ადმინისტრატიული დაყოფისა რაიონებად, ზემო აღნიშნული თემებიც უნდა გაერთიანებულიყვნენ. მხოლოდ კითხვა იდგა მათ საშუალო ადგილის, გეოგრაფიული ცენტრის მოძებნის შესახებ.

აღმოსავლეთით მდებარე საწიროს თემი მსურველი იყო, რომ სარაიონო ცენტრად ყოფილიყო ხრესილი. დასავლეთის მხარეზე მდებარე ორპირის თემის ნაწილი მოითხოვს სარაიონო ცენტრად აღიარებული იქნას თვით ორპირი.

თითოეულ ზემოაღნიშნულ თემს აინტერესებს სარაიონო ცენტრი დარჩეს თავთავიან თემებში. მაგრამ გადამწყვეტ როლს ცენტრის დასახელებაში თამაშობდა ჩრდილოეთის მხარეზე მდებარე გურნის თემი. კიდევაც ამ თემის საბჭოს ა. წ. 30 სექტემბრის სხდომაზე გადაწყდა, რომ გურნის თემის მცხოვრებთათვის ხელსაყრელია, სარაიონო ცენტრად იქნეს ხრესილი. ამრიგად ორი თემის ინტერესი მოითხოვდა ცენტრად დარჩენილიყო ხრესილი. ეს ასეც მოხდა, და ყველა უმაღლეს ორგანიზაციების მიერ მიღებულ იქნა მიზანშეწონილად.

მაგრამ კუთხური ქიშპობით გატაცებული პირები დაძრწიან სოფლიდან სოფლად და იჩენენ თავიანთ „მომხრეებს“ მათმა ასეთმა მოქმედებამ მართლაც დაბადა გაუგებრობა, რამაც გამოიწვია მოგვარებული და გადაჭრილი კითხვის ხელ-ახალი კვლევა-ძიება.

საინტერესოა ვიკითხოთ, თუ რით ხელმძღვანელობენ ეს პირები იმ დროს, როცა ასახელებენ სარაიონო ცენტრად ორპირს, იმ დროს, როდესაც არც ერთი ღირსშესანიშნავი დაწესებულება აქ არ მოიპოვება და ამავე დროს, არავითარ გეოგრაფიულ ცენტრს არ წარმოადგენს.

ხრესილს-კი ახასიათებს აურიცხელი დადებითი მხარეები, როგორიცაა სამკურნალო წყლები, სადაც ზაფხულობით მრავალი ხალხი იყრის თავს; არსებობს მთლიანი მომხმარებელი კოოპერატივი, არის საავადმყოფო თავისი აფთიაქით.

აგრეთვე არსებობს სარაიონო მილიცია და სახალხო სასამართლო, არის გაშენებული ბაზარი, სადაც ყოველ კვირაობით იმართება „იარმარკა“. იქვე არის სად. ხრესილი, რომელიც შუა ადგილს წარმოადგენს მთელს ტყიბულის ხაზზე.

მატარებელიც ამ სადგურზე დიდ ხანს ჩერდება, თითქმის ერთ საათს. დაბოლოს, რაც უმთავრესია, გეოგრაფიული ცენტრი არის ტყიბულის რაიონისათვის.

ამის შემდეგ კიდევ გვირჩევენ ზოგიერთი პირები, რომ ყოველივე ის, რაც აშენებული არის დღეს ხრესილში განზე დავტოვოთ და უამრავი შენობები ავაშენოთ ორპირის ტიტველ ბაქანზე.

მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ არავინ აზამს და მშრომელი გლეხობის უმრავლესობა თავისას გაიტანს.

ხ. ჩინარეთელი.

ტობანიერის თემი (ქუთაისის მაზრა)

მიუხედავათ იმისა, რომ გლეხობა მძიმე ეკონომიურ პირობებშია ჩავარდნილი ამჟამად, მაინც ყოველგვარი აღმშენებლობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. უკვე დაწყებულია შენება შრომის სკოლის ორ-სართულიანი აგურის შენობისა 38 თვალისაგან, „ეპო“ „საჩინო“-ს ქვის შენობის, რომელთა აშენებაში გლეხ-კაცობა მხურვალე მონაწილეობას ღებულობს.

ამ დღეებში სამაზრო აღმასკომიდან მოვიდა განკარგულება, რომ თემების გადაჯგუფების გამო, ტობანიერის თემი მიეწეროს, როგორც წვრილი ერთეული, ვანის რაიონს. ამ გარემოებამ ძლიერ დაალონა თემის გლეხ-კაცობა. საქმე იმაშია, რომ ტობანიერის თემისთვის, რომლის სივრცე დიამეტრალურად უდრის 15 ვერსტს და რომელიც შესდგება 2000 კომლისაგან, ყოვლად მოუხერხებელია დაუკავშირდეს ვანის რაიონს შემდეგი მოსაზრებით: კულტურულ-ეკონომიურ ცენტრად ტობანიერისთვის ითვლება ქალ. სამტრედია. იქ არის რკინის გზა, იქ მიდის მთელი სოფლის ნაწარმოები, იმასთან არის დაკავშირებული გზებით, ტელეფონის ქსელით და ფოსტა-ტელეგრაფით. გეოგრაფიული მდებარეობაც არ აძლევს საშუალებას ვანთან დაკავშირებისას, ვინაიდან ორი ისეთი მდინარე, როგორიც არის ყუმურ-სულორი, თავისი წყალდიდობით, დაწყებული შემოდგომიდან ზაფხულამდე, სავსებით სწყვეტს ყოველგვარ მიმოსვლას ამ ორ თემს-შუა. ვანის თემი მდებარეობს ტობანიერის თემის აღმოსავლეთით, ქალ. სამტრედია კი დასავლეთით. ვანის მთელი რაიონის გლეხკაცობა მთელი თავისი ნაწარმოებით დაკავშირებულია ქალ სამტრედიაზე, ბაღდათ-ორპირის გზით. გზაში პირველი ეკონომიური პუნქტი მათ ხვდებათ ტობანიერი თავისი ფართო ბაზრით. აგრეთვე აერთებს ტობანიერი საპაიჭაოს თემს, რომელიც ყოველმხრივ დაკავშირებულია მასთან. დღევანდელ მომენტში ტობანიერის თემი კულტურულ-ეკონომიური აღმშენებლობით გაცილებით წინ დგას ვანზე. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია სამტრედიის რაიონულმა პარტკომმა და ქუთაისის სამაზრო პარტიულმა ყრილობამ. ჯერი მიდგა ცენტრალურ მთავრობაზე და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის გაუწევს ანგარიშს ყველა ამ გარემოებებს და დააკმაყოფილებს სამართლიან სურვილს ამ თემისას.

ს. ეფემიაშვილი.

მთავრობის დადგენილებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 31

ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატისა რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სწავლის ფულის გადასახადის შემოღების შესახებ 1923—24 სასწავლო წელში

შესაცვლელად 1 მუხ. დადგენილებისა, რომელიც გამოტანილი იყო 1922 წლ. 15 სექტემბერს, რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სწავლის ფულის გადასახადის შესახებ, ვადგენთ შემდეგს:

მიმდინარე 1923—24 სასწავლო წელში შემოღებულ იქნეს სწავლის ფულის გადასახადი უმაღლეს (უნივერსიტეტსა და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში), და საშუალო სასწავლებლებში (ყველა ტექნიკუმებში, გარდა პედაგოგიური, საერთო განათლების კურსებისა და აგრეთვე მთლიან შრომის სკოლების მე-8 და მე 9 ჯგუფში) შემდეგი რაოდენობით:

1) უმაღლეს სასწავლებლებში 40 ჩერვ. მან. წლიწადში (ხოლო ნახევარ წლიწადში 20 ჩერვ. მან.) და

2) საშუალო სასწავლებლებში 20 ჩერვ. მან. წლიწადში (ხოლო ნახევარ წლიწადში 10 ჩერვ. მან.).

ჩერვონეცის მანეთის რაოდენობა გადასახადისა იანგარიშება სწავლის ფულის შეტანის დღის ოფიციალურად გამოცხადებულ კურსით. სწავლის ფულის გადასახადისაგან როგორც უმაღლეს, ისე საშუალო სასწავლებლებში თავისუფლდებიან:

ა) დამსახურებულ რევოლიუციონერთა შვილები,

ბ) სამოქალაქო ომში აქტიურად მონაწილეობის მიმღებთა შვილები,

გ) ღარიბ გლეხთა შვილები ადგილობრივ სამაზრო აღმასკომის დადასტურების მიხედვით,

დ) წითელ-არმიელთა, უფროსმეთაურობის, უმცროსმეთაურობის და აგრეთვე წითელ არმიის პოლიტმუშაკთა შვილები,

ე) წითელ არმიის და ფლოტის დაჭრილ-დასახიჩრებულთა შვილები და შრომის ინვალიდების შვილები,

ვ) ყველა ტიპის და საფეხურის სასკოლო მუშაკნი და მათი შვილები,

ზ) პროფკავშირების წევრნი და მათი შვილები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი თვიური ხელფასის საერთო ჯამი არ აღემატება ოცდახუთ (25) საქონლის მანეთს,

ი) სახელმწიფო პენსიონერთა შვილები.

სწავლის ფულის გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ განცხადებებს, რომელთაც დართული უნდა ჰქონდეს სათანადო მოწმობები, იხილავენ უმაღლეს სასწავლებელთა გამგეობანი, ანუ ამა თუ ის სასწავლებელთა პედაგოგიური საბჭოები.

3) სახ. კონსერვატორიასა, სამხატვრო აკადემიასა და სხვა სამხატვრო და სამუსიკო სასწავლებლებში განისაზღვრება სწავლის ფული 40 ჩერვონ. მანეთით წელიწადში.

ამ სასწავლებელთა მოწაფენი სწავლის ფულის გადასახადისაგან არ თავისუფლდებიან. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება ეს გადასახადი განსაკუთრებულად ნიჭიერ მოწაფეთ, თანახმად პედაგოგიური საბჭოთა და განათლების კომისარიატთან [illegible] განთავისუფლდნენ [illegible] ისე, რომ ხსენებულ გადასახადისაგან განთავისუფლებულ მოწაფეთა რიცხვი არ აღემატებოდეს ამა თუ იმ სასწავლებლის საერთო მოწაფეთა რიცხვის 10 პროცენტს.

სწავლის ფულის გადასახადისაგან შემოსული ფული ამა თუ იმ სასწავლებლის „სპეციალურ თანხას“ შეადგენს, წესრიგი ამ თანხის მიღებისა, შენახვისა, დახარჯვისა და ანგარიშის წარმოებისა განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, თანახმად ა. ა. კომისართა საბჭოს დადგენილებისა ამა 1923 წლის 14 აგვისტოს თარიღით № 78 (იხ. გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ 15 აგვისტოდან).

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარი—დ. კანდელაკი

საქმეთა მმართველი—ალ. მიქაბერიძე.

ტფილისი, 23 ოქტ. 1923 წ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 4-ე რაიკომი** იტყობინება, რომ პარასკევს, 2 ნოემბერს, დილის 10 საათზე, რაიკომის შენობაში (რუსთაველის პრ. № 22) შესდგება უჯრედების მდივნების თათბირი მიმაგრებულ ჯარის ნაწილებთან ერთად; თათბირზე გაირჩევა საკითხი ოქტომბრის დღესასწაულების ჩატარების შესახებ.

რაიკომი წინადადებას აძლევს უჯრედების ყველა მდივნებს, რომ მათ აცნობონ მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მიმაგრებულ ჯარის ნაწილებს იმის შესახებ, რომ აუცილებელია მიმაგრებულ ჯარის ნაწილების წარმომადგენლების დასწრება თათბირზე.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 2-ე რაიკომი** წინადადებას აძლევს ამხ. მერკელს და მ. ცინცაძეს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ მე-2-ე რაიკომში.

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

— **2-ე რაიკომი იტყობინება,** რომ დღეს, 1-ლ ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, მუშკოპის შენობაში შესდგება 2-ე რაიონის ქალთა დელეგატების კრება.

ყველა დელეგატ ქალების დასწრება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

— ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის საინჟინერო ფაკულტეტების კომფრაქციის ბიურო იწვევს შაბათს ა—წ. 3 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, 3 კურსის აუდიტორიაში („კრუჟოკ“-ი)

ფრაქციის საერთო კრებას.

დღის წესრიგში დასმულ საკითხების მნიშვნელობის გამო, კომპარტიისა და ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა იმ წევრებისა და კანდიდატების დასწრება, რომელნიც ითვლებიან სახელმწიფო პოლიტ.-ინსტიტ. საინჟენერო ფაკულტეტების სტუდენტებათ და თანამშრომლებათ,—სავალდებულოა. კრება გაიხსნება დაუგვიანებლივ.

ფრაქციის პასუხისმგებელი მდივანი ვულფოვიჩი.

— ხუთშაბათს, 1 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე მოხდება სხდომა ოქტომბრის დღესასწაულების მომწყობი კომისიისა.

მოიწვევიან წარმომადგენელნი: საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებისა, ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტისა, კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკური განყოფილებისა, ქართული დივიზიის პოლიტიკურ განყოფილებისა, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის პოლიტ-სეკრეტარიატისა, კომუნ. ახალგ. კავშირისა, ქალაქის კომენდატურისა და საუბნო კომიტეტებისა.

კომისიის თავმჯდომარე მ. ესსენი.

პროფესიული.

განათლების მუშაკთა სახლში.

— 2 ნოემბერს, საღ. 8 საათზე დანიშნულია რუსულ ენის პროგრამის შემმუშავებელ წრის სხდომა. მოხსენება ვასილევსკისა.

— 6 ნოემბერს, საღ. 6 საათზე, ბუნების მეტყველების და გეოგრაფიის წრის [illegible] ქართულ ენაზე.

— 10 ნოემბერს, საღ. 6 საათზე, ამხ. გიგო ნათაძე დაიწყებს ლექციების ციკლს ქართულ ენაზე. თემა: საზოგადოებრივი მეტყველება.

განათლების მუშაკთა სახლის გამგე [illegible]

განცხადებები

განცხადება № 2545

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი

წინადადებას აძლევს ქ. ტფილისის და მისი მაზრის ფარგლებში არსებულ ყოველგვარ კულტის სარწმუნოებრივ საზოგადოებებს ყოველ მიზეზის გარეშე გაატარონ რეგისტრაციაში ტფილისის აღმასკომის საორგანიზაციო საინსტრუქტორო ნაწილში ა. წ. 15 ნოემბრამდის იმ წესის დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების მიერ ა. წ. 22 ოქტომბერს „რელიგიური საზოგადოებათა რეგისტრაციისა და ამ საზოგადოებათა ყრილობების მოწვევის წესის გაცემის შესახებ“ გამოცემულ ინსტრუქციით (იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 165 ა. წ.)

საზოგადოებები ვალდებულია რეგისტრაციისათვის წარმოადგინონ სამ ეკზემპლიარათ.

1. განცხადება რეგისტრაციაში გატარების შესახებ.
2. საზოგადოების დებულება.
3. საზოგადოების წევრთა სია აღნიშვნით ყოველ წევრზე—1) გვარი, სახელი და მამის სახელი, 2) საცხოვრებელი ადგილი და მისამართი, 3) სოციალური მდგომარეობა, 4) საზოგადო და სამსახურობრივი მდგომარეობა 1914 წლიდან, 5) რა წოდებას ეკუთვნოდი რევოლიუციამდის, 6) ქონებრივი მდგომარეობა და 7) აღნიშნულ რელიგიურ კულტში წევრად შესვლის დრო.
4. საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს წევრთა სია ამავე მუხლში აღნიშნული ფორმით.
5. ამ საზოგადოების ყველა არჩეულ პასუხისმგებელ და სულიერ წოდების პირთა სია ამის მე-3-ე მუხლში აღნიშნულ ფორმით.
6. სრულიად სწორი და დეტალური სია საზოგადოების ხმარებაში მყოფ ქონებისა—მიწა, შენობები, საეკლესიო ნივთები და სხვ.
7. ტფილისის მაზრის სხვადასხვა სოფლებში არსებულ რელიგიურ საზოგადოებებმა ეს ცნობები უნდა წარადგინონ სათანადო თემის ან რაიონის აღმასრულებელ კომიტეტში, საიდანაც ცნობები გადმოიგზავნება ტფილისის აღმასკომში რეგისტრაციაში გასატარებლად
8. ის რელიგიური საზოგადოებები, რომლებიც არ გაატარებენ რეგისტრაციაში ზემოაღნიშნულ ვადამდის დაუყოვნებლივ დაიხურებიან.

ტფილისის აღმას. პრეზიდიუმის წევრი [illegible]

საორგანიზაციო-საინსტრუქტორო ნაწილის გამგე ახვლედიანი.

2—1—კრ. 715

„მწყემსის“ საგანგებო ყრილობა

საქართველოს მეცხვარეთა ამხანაგობა—„მწყემსი“-ს გამგეობა და საბჭო აცხადებენ, რომ ა. წ. 25 ნოემბერს

დანიშნულია

ამხანაგობის წევრთა რწმუნებულების საგანგებო ყრილობა

სოფელ ქვემო-მაჩხაანში (სიღნ. მაზ.)

ყრილობის დღის წესრიგი:

1. თანამედროვე მომენტი.
2. მოხსენებანი: გამგეობისა, საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა.
3. მოხსენება საქართველოს მეცხვარეობის საჭიროებათა შესახებ მომავალი სამოქმედო გეგმა.
4. წესდების განხილვა და დამტკიცება.
5. მიმდინარე საკითხები.
6. გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები.

96—1—1 გამგეობა.

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის ხელმძღვანელობით

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც [illegible] მკურნალობას საჭიროებენ.

სამკურნალო სტაციონარი ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით

[illegible] ქ. № 20. (1252—25—2

საქალო საკონსულტაციო-სამკურნალო [illegible] ექიმი ქალის

ა. დ. ხანცინის

მეანე ექიმის ვ. ვ. შინგელიძის

მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან 4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით შაბათობით. კრუზენშტეინის ქუჩა № 1. ([illegible] კუთხე) № 18—14. (46—25—1

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა

რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით მკურნალობა

ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. სოლ. ბებუთოვის ქუჩა № 25. 78 25—

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა მიცემული [illegible] 1-ლი [illegible] ტექნიკუმიდან № 182. ჩაითვალოს უქმებულად. ნიკოლოზ სიმონის ძე წითლიძე. 95—

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.